პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 89 (9557) | ოთხშაბათი, 15 აპრილი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში

საინფორმაციო ცნობა (1-ლი გვერდი)

სარწყავი რაიონების მუშაკთა საბრძოლო ამოცანა — მოწინავე (1-ლი გვერდი).

სოფლის მთელი ძალები დავრაზმოთ საგაზაფხულო თესვის მოკლე ვადებში და მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის. — ავამაღლოთ მტს-ების როლი მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში. კასპელებმა უნდა გააძლიერონ მინდვრის სამუშაოთა ტემპი. ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავლის მისაღებად. არ დავუშვათ ჩამორჩენა (მე-2 გვერდი).

მშრომელთა შენიშვნები სისუფთავის დაცვის საკითხებზე (მე-3 გვერდი).

გ. მელაძე. — თანამედროვეობის დიდი ძოძრაობა (მე-3 გვერდი).

ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ საკურორტო სეზონს (მე-3 გვერდი).

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

მიმდინარე წლის 14 აპრილს გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

განხილული საკითხების გამო ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ა. ი. მირცხულავა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. ა. ი. მგელაძე.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად აირჩია ამხ. დ. ზ. რომელაშვილი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. ვ. გ. ცხოვრებაშვილი სხვა სამუშაოზე მისი გადასვლის გამო.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე მდივნად აირჩია ამხ. ვ. მ. ჩხიკვაძე და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. ვ. დ. ბუჯიაშვილი.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებად დაამტკიცა ამხანაგები: ვ. მ. ბაქრაძე, მ. ი. ბარამია, ვ. გ. დეკანოზოვი, გ. დ. ჯავახიშვილი, ი. ს. ზოდელავა, ს. ს. მამულოვი, ა. ი. მირცხულავა, დ. ზ. რომელაშვილი, გ. თ. სტურუა, ვ. გ. ცხოვრებაშვილი, ვ. მ. ჩხიკვაძე.

ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატებად დამტკიცებული არიან ამხანაგები: ი. დ. კოპლამაზაშვილი, ნ. ი. სტურუა.

პლენუმმა დაადგინა 1953 წლის 25 მაისს მოწვეულ იქნას საქართველოს კომუნისტური პარტიის მორიგი XVI ყრილობა.

პლენუმმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს.

სარწყავი რაიონების მუშაკთა საბრძოლო ამოცანა

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუწყვეტლივ ზრუნავენ სოციალისტური მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისათვის. ამის მკაფიო გამოხატულებაა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1950 წლის აგვისტოს დადგენილება „სარწყავი მიწების უფრო სრულად გამოყენებისა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის გაუმჯობესების მიზნით რწყვის ახალ სისტემაზე გადასვლის შესახებ". რწყვის ახალი, უფრო სრულყოფილი სისტემა ითვალისწინებს დროებითი სარწყავი არხების მოწყობას მუდმივი არხების ნაცვლად. პრაქტიკამ დაადასტურა ამ სისტემის უდიდესი უპირატესობანი. ახალი სისტემა მექანიზაციის ფართოდ გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

ჩვენი რესპუბლიკის პირობებში რწყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი და მყარი მოსავლის მიღებისათვის.

ამოცანა ის არის, რომ წყალსამეურნეო მშენებლობის გეგმის შესრულებასთან ერთად ყურადღების ცენტრში მოვაქციოთ სარწყავი ქსელის წესრიგზე მოყვანის საკითხები.

სამწუხაროდ, სარწყავი ქსელის გადაკეთების გეგმის შესრულების მხრივ რესპუბლიკაში აშკარად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. გასულ წელს სარწყავი ქსელის გადაკეთების გეგმა საქართველოში მთლიანად არ შესრულებულა. საგეგმო დავალების შეუსრულებლობის ძირითადი მიზეზია მტს-ების მიერ მიწისმთხრელი მექანიზმების სუსტი გამოყენება. საბჭოთა სახელმწიფომ ჩვენი მტს-ები აღჭურვა მიწისმთხრელი უახლესი მანქანებით. მაგრამ იმის გამო, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მისი მტს-ების სამმართველო მომთხოვნელობას არ იჩენდნენ და საქმეს წაყრუებით ეკიდებოდნენ, მტს-ებმა 1952 წელს სარწყავი ქსელის გადაკეთებასთან დაკავშირებით მიწის სამუშაოთა დავალება 68,3 პროცენტით შეასრულეს. ამ გაკვეთილიდან საჭირო დასკვნები არ გამოაქვთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებს და სარწყავი რაიონების მთელ რიგ ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს. მიმდინარე წლის გეგმით გათვალისწინებულია სარწყავი ქსელის გადაკეთება 58.000 ჰექტარზე. აქედან გაზაფხულზე 15.650 ჰექტარზე. ეს დავალება შესრულებულია მხოლოდ 6,3 პროცენტით. მთელ რიგ მტს-ებში კვლავ ვხვდებით მიწისმთხრელი მექანიზმების გამოუყენებლობას, რაც დაუყოვნებლივ უნდა აღიკვეთოს.

სარწყავ რაიონებში უხვი მოსავლისათვის ბრძოლის პასუხსაგები პერიოდი დადგა. მოახლოვდა რწყვის სეზონი. არსებული მასალები მოწმობენ, რომ ზოგან მოსავლიანობის გადიდების ამ დიდმნიშვნელოვანი ღონისძიების შეუფასებლობას იჩენენ, მოუმზადებელი ხვდებიან რწყვას. ზემო სამგორის სარწყავი სისტემით თბილისის გარეუბნისა და საგარეჯოს რაიონებში მოირწყვება 5.000 ჰექტარი მიწა. საქმისადმი უყურადღებლობა დამოკიდებულების შედეგად აღნიშნულ რაიოხებში აჭიანურებენ სარწყავი არხების გაწმენდას და ამით საფრთხის წინაშე აყენებენ მორწყვის დროულად დაწყებას.

ჰიდროტექნიკურ ხაგებობათა შეკეთების სამუშაოები მნიშვნელოვნად ჩამორჩა ასპინძის, ახალციხის, კასპის, მცხეთის, დუშეთისა და თელავის რაიონებში. საჭირო სასწრაფო ზომების მიღება ამ სერიოზულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ერთ-ერთი პირველხარისხოვანი ამოცანაა მრწყველთა კადრების მომზადება. ეს საქმე დაკისრებული აქვთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის ადგილობრივ ორგანოებს. სამინისტროს მელიორაციის განყოფილება, რომელიც უშუალოდ განაგებს მრწყველთა კადრების მომზადებას, არადამაკმაყოფილებლად მუშაობს, რის შედეგად კადრების მომზადების მხრივ ყველაფერი რიგზე არ არის. სამხრეთ ოსეთში აჭიანურებენ მრწყველების მომზადებას. ეს გამონაკლისი როდია. არ შეიძლება შევურიგდეთ ასეთ ნაკლოვანებებს კადრების მომზადებაში.

სერიოზული ამოცანები დგას საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაკთა წინაშე. მაგრამ ინსტიტუტი და სხვა სამეცნიერო დაწესებულებები ჯერჯერობით ქმედითს დახმარებას ვერ უწევენ კოლმეურნეობებს, წყალთა მეურნეობის ორგანოებს სარწყავი მიწათმოქმედების მომწიფებული პრობლემების გადასაჭრელად. ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა ღონისძიებანი გაერთიანებულ უნდა იქნან ისეთი საკითხების გადასაჭრელად, როგორიც არის ახალი მიწების გამოყენება, ფართობების შერჩევა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა თვისების მიხედვით, დამლაშებული მიწების ათვისება, მორწყვის უახლესი ტექნიკის დანერგვა და არხების წმენდის მექანიზაციის გაუმჯობესება. საამისოდ მათ ყველა პირობა აქვთ შექმნილი.

საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების გადაუდებელი საქმეა უზრუნველყონ, რომ სარწყავი ქსელი ყოველმხრივ მომზადებული შეხვდეს რწყვის სეზონს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წყალის ეკონომიურად ხარჯვას, რწყვის ტექნიკის დაცვას, რათა თავიდან ავიცილოთ ნიადაგის დამლაშება. მძლავრი ტექნიკის უნარიანი გამოყენება, რწყვის მაქსიმალური მექანიზაცია მორწყვის სწორი ორგანიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის გახსნისათვის

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესია გაიხსნება ღღეს, 15 აპრილს, საღამოს 7 საათზე. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პრ. № 8).

ჩვენს დიად სამშობლოში



უკრაინის სსრ. ხარკოვის ქარხანა „სერპი მოლოტის" კოლექტივი ნოვოკრამატორსკელ მანქანათმშენებელთა მაგალითისამებრ იბრძვის მანქანების წონის შესამცირებლად, მათი ხარისხის გასაუმჯობესებლად. ამწყობი საამქროს კონვეიერიდან განუწყვეტლივ ჩამოდის სალეწი მანქანები. ისინი გაცილებით უფრო მსუბუქია წინანდელთან შედარებით. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში თვითღირებულება შემცირებულია 22,3 პროცენტით. სურათზე: სალეწი მანქანები მთავარ კონვეიერზე.

ფოტო მ. ნაჩინკინისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

★ ★

აზოვის არხმა წყალი მიიღო

ვესიოლი (როსტოვის ოლქი), 11 აპრილი. (საკდესი). ვესიოლის წყალსაცავში გაიარეს პირველმა თბომავლებმა. დამყარდა გემების რეგულარული მოძრაობა როსტოვ-ვესიოლის ხაზით. სრული სიმძლავრით მუშაობს საკოლმეურნეობათაშორისო ჰიდროელექტროსადგური, რომლის აგრეგატებს ამუშავებს ვესიოლის წყალსაცავის წყალი.

ღღეს ზამთრის შესვენების შემდეგ ექსპლოატაციის მუშაკები შეუდგნენ ვოლგა-დონის სარწყავი სისტემის აზოვის განმანაწილებელი არხის წყალით ავსებას. დილით ზედიზედ დროგამოშვებით ღებდნენ დატვირთვას ვესიოლის სატუმბავი სადგურის მძლავრი ელექტროაგრეგატები. წყალი ტუმბოების დახმარებით ძლევს დიდ აღმართს, ხმაურით გამოდის მილსადენიდან და მიდის არხის ფართო კალაპოტით. წყალს შორი გზა აქვს. მან არხით უნდა გაიაროს 90-ზე მეტი კილომეტრი და შეჩერდეს თიოქმის ზედ აზოვის ზღვასთან კალინინის სახელობის კოლმეურნეობისა და კოლმეურნეობა „პობედის" მიწებში. ამ მეურნეობებმა თესვა დაამთავრეს და ენერგიულად ემზადებიან წყალის მიღებისა და ყანების მორწყვისათვის.

ღღეს ღღის ბოლოსათვის წყალმა აზოვის არხით უკვე გაიარა ვესიოლისა და ბაგაევსკის რაიონების ტერიტორია და მიაღწია აქსაისკის რაიონის მიწებში გადამღობავ ნაგებობებს. სტანიცა ოლგინსკაიას ბევრად ზემოთ წყალის მდინარება კალაპოტით შეჩერებულია უზარმაზარი ლითონის საკეტით. ვესიოლი-ოლგინსკის უბანზე არხის კალაპოტის დასველების შემდეგ საკეტს გააღებენ და წყალი წავა სამხრეთ-დასავლეთით აქსაისკის, ბატაისკისა და აზოვის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწებში.



ლენინგრადი. კოლექტიური სტახანოვური შრომის საწარმოში — კუიბიშევის სახელობის კარბიურატორის ქარხანაში ერთი წლის განმავლობაში დანერგილია 372 რაციონალიზატორული წინადადება, რომლებმაც ქარხანას ორ მილიონამდე მანეთი ეკონომია მისცა. აქტიურ რაციონალიზატორთა შორის არიან ამწყობი ა. ფ. მიცკევიჩი და სადიზელე აპარატურის საამქროს სახები განყოფილების უფროსი ბ. ფ. გეორგიევი, რომელთა რაციონალიზატორული წინადადების განხორციელების მეოხებით შრომის ნაყოფიერება გადიდდა 14-ჯერ. სურათზე: რაციონალიზატორები ა. ფ. მიცკევიჩი (მარცხნივ) და ბ. ფ. გეორგიევი.

ფოტო პ. ფედოტოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ვოლგის გაღმა მხარის საირიგაციო მშენებლობებზე

კუიბიშევი. (საკდესი). დაიწყო ჩერნოვკისა და ტალოვკის წყალსაცავების ავსება, რომლებიც ააშენა შუა ვოლგის წყალმშენმა. ეს მრავალი საირიგაციო ნაგებობიდან პირველებია, რომლებიც შეიქმნება ვოლგის გაღმა მხარის ველებზე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწების მოსარწყავად კუიბიშევის ჰესის ელექტროენერგიის გამოყენების ბაზაზე.

ჩერნოვკის წყალსაცავი აგებულია მოლოტოვის რაიონში, კუიბიშევის მახლობლად. მშენებლებმა მდინარე ჩერნოვკაზე ააგეს სიმაღლით 15 მეტრი და სიგრძით ერთ კილომეტრზე მეტი კაშხალი. ახლა ამ კაშხალმა გზა გადაუღობა გაზაფხულის წყალდინებას, და წყალმა იწყო საცავის ავსება, რომლის ფართობიც 500 ჰექტარს აღწევს. საცავში შეგროვდება 13 მილიონზე მეტი კუბური მეტრი წყალი. აქ დაიწყება მაგისტრალური არხი გარშემო მდებარე 1.770 ჰექტარი მინდვრების მოსარწყავად.

ტალოვკის წყალსაცავი აგებულია ვოლგის სამხრეთით ბოლშაია გლუშიცის რაიონში და გათვალისწინებულია 4,5 მილიონი კუბური მეტრი წყალის შესაგროვებლად.

წელს შუა ვოლგის წყალმშენი დაამთავრებს კიდევ სამი წყალსაცავის მშენებლობას და გააჩაღებს მთელი რიგი ახალი წყალსაცავების აგებას. უახლოეს წლებში შეიქმნება ასობით წყალსაცავი ადგილობრივი წყალდინებით. ვოლგის წყალთან ერთად ისინი წყალს მიაწვდიან სარწყავ არხებს, რომლებიც ვოლგის გაღმა მხარის ველების სივრცეებს გადასერავენ.

ზემძლავრი მაგისტრალური ელმავალი

ნოვოჩერკასკი. (საკდესი). ნოვოჩერკასკის ბუდიონის სახელობის ელმავალმშენებელი ქარხნის კოლექტივმა დიდ წარმატებას მიაღწია—მთავრობის მიერ დაწესებულ ვადაში გამოუშვა პირველი ზემძლავრი მაგისტრალური ელმავალი.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ქარხნის დირექტორმა ამხ. ა. დ. კაჩეჯიმ თქვა:

— ნოვოჩერკასკის ქარხანამ დაამზადა „ვლ-22" მარკის მაგისტრალური ელმავლები, რომლებიც არა მარტო ეკონომიკური, არამედ ამასთან მეტად ძლიერი მანქანებია. ტრანსპორტის შემდგომმა განვითარებამ მოითხოვა ახალი, კიდევ უფრო მძლავრი ელმავალი. ასეთი მანქანის წარმოება პარტიის XIX ყრილობამ გაითვალისწინა მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დირექტივებში. პარტიის ეს გადაწყვეტილება საწარმოს კოლექტივმა მიიღო როგორც საბრძოლო პროგრამა. ქარხნის კონსტრუქტორებმა მოკლე ვადაში შეიმუშავეს ახალი მაგისტრალური რვაღერძიანი ელმავლის პროექტი და დაამზადეს სამუშაო ნახაზები. წარმატებით მომზადდა საცდელი მანქანის წარმოება და გამოშვება.

ახალი ტიპის ელმავალი „ვლ-22" მარკის ელმავალზე თითქმის ორჯერ მძლავრია, მას წევის მნიშვნელოვანი ძალა აქვს და დიდ სიჩქარეს ავითარებს. მას აქვს ურიკის მთლიანსხმული ჩარჩო, რამაც შეამცირა მისი წონა და გაუმჯობესა მანქანის სავალი ნაწილის საექსპლოატაციო მომსახურება. ელმავალი უზრუნველყოფილია ისეთი მოწყობილობით, რომელიც აღადგენს დამუხრუჭებაზე დახარჯულ ენერგიას და აბრუნებს მას ქსელში.

ბელორუსიის ვაგზლიდან ყირიმის მოედნამდე

○

მოსკოვის მეტროს დიდი რკალის მესამე უბანზე

○

მოსკოვის მეტრომშენებლები ემზადებიან იმისათვის, რომ ღირსეულად შეხვდნენ 1 მაისის ღღესასწაულს. დაძაბული მუშაობა მიმდინარეობს მთელ მანძილზე ბელორუსიის ვაგზლიდან ყირიმის მოედნამდე.

სადგურ „ბელორუსკაია-კოლცევაიადან" სადგურ „კრასნოპრესნენსკაიამდე" უკვე დამთავრებულია გვირაბგაყვანისა და კვერვის სამუშაოები. მზა გვირაბებში სამუშაოს მწარმოებელ ტარასოვის ელექტრიკოსებს გაჰყავთ ელექტროკაბელი და ეწევიან სანათი აპარატურის მონტაჟს. სადგურ „კრასნოპრესნენსკაიაზე" ელექტრომექანიკურსამონტაჟო კანტორის ბრიგადა, რომელსაც სერიკოვი ხელმძღვანელობს, დაამთავრა ჰიდროიზოლაციას. კონდრატიევისა და იუდინის უბნების კოლექტივებმა დაიწყეს წყალსადენის მილების მონტაჟისათვის მზადება.

„კრასნოპრესნენსკაიადან" სულ უფრო შორს მიდის გვირაბი კიევის ვაგზლისაკენ. განსაკუთრებული წარმატებით შრომობენ გვირაბგამყვანები, რომლებიც აგებენ მომავალი მიწისქვეშა მაგისტრალის მარჯვენა გადასარბენ გვირაბს. ბრიგადები, რომლებსაც გაურა, არონინი და სუსლოვი ხელმძღვანელობენ, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებენ გადიდებულ ვალდებულებებს.

გვირაბგამყვანებს არც მკვერავები ჩამორჩებიან, რომლებიც წყალუჟონს ხდიან გვირაბებს. ტიუბინგის გარსის ნაწიბურებს ისინი ავსებენ გაფართოებადი ცემენტით. კარგად მუშაობს წინასამისო დღეებში მედვედევის მკვერავთა ბრიგადა, რომელიც წინათ სადგურ „არბატსკაიას" მშენებლობაზე მუშაობდა. რამდენიმე ღღეში დამთავრდება მარჯვენა გადასარბენი გვირაბის გაყვანა მდინარე მოსკოვის კალაპოტის ქვეშ.

კრასნოპრესნელთა კოლექტივის შესახვედრად მოდიან სადგურ „კიევსკაიას" მშენებლები. გადასარბენი გვირაბების გაყვანისას გვირაბგამყვანთა ბრიგადები, რომლებსაც მოროზოვი, ეპიფანოვი, რომანოვი და სხვები ხელმძღვანელობენ, მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ. სტახანოველებმა დანერგეს სიახლე — ტიუბინგებს, რომლებსაც დგამენ გვირაბის ქვედა ნაწილში — „ლოტოკში", გვირაბში დადგმამდე ავსებენ ბეტონით. ამან დიდად შეამცირა „ლოტოკის" გასაწმენდად საჭირო დრო, გაუმჯობესა ხარისხი.

კიევის ვაგზლიდან ყირიმის მოედნისაკენ წარმატებით მიიწევენ № 20 შახტის გვირაბგამყვანები. ლუკიანოვის უბნის კოლექტივი რამდენიმე ღღეში განაზორციელებს მიწისქვეშა გაკვეთას მარჯვენა გადასარბენ გვირაბში. ამის შედეგად შესაძლებელი გახდება ორივე გვირაბით მისვლა ყირიმის მოედანზე.

ოცკილომეტრიანი მიწისქვეშა მაგისტრალი — მოსკოვის მეტროს დიდი რკალი დაკავშირებს დედაქალაქის თვრამეტ რაიონს. მეტრომშენებლები სტახანოვური შრომით მიაღწევენ იმას, რომ უმოკლეს ვადაში დაამთავრებენ სამუშაოებს მესამე უბანზე. (საკდესი).

ჩარხი-ავტომატი

ერთსა და იმავე დროს ათზე მეტი ოპერაციის შესრულება შეუძლია ახალ სახარატო მრავალსპრინდლიან ჩარხ-ავტომატს, რომელიც შექმნეს ლითონსაჭრელი ჩარხების საექსპერიმენტო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კონსტრუქტორებმა. თვითეული საჭრისი გარკვეულ სამუშაოს ასრულებს.

მრავალი საჭრისით დამუშავება ამცირებს დროის უნაყოფო ხარჯვას, რაც იწვევდა იმის საჭიროება, რომ დეტალის მდგომარეობა შეეცვალათ თვითეული ოპერაციის შემდეგ. ახლა დეტალი კეთდება 5-10 წუთში ნაცვლად ერთი საათისა.

ჩარხი-ავტომატი უნივერსალურია. ახალი ჩარხის აწყობა სხვადასხვა ტიპის დეტალების დასამუშავებლად ჩვეულებრივზე ოთხჯერ უფრო სწრაფად ხდება.

ლითონის ნაქლიბი მუშაობას ხელს არ უშლის. იმის გამო, რომ შპინდელი ვერტიკალურად დგას, ნაქლიბი თავისუფლად იყრება ძირს და გააქვს განსაკუთრებულ ტრანსპორტიორს.

ახალი ავტომატის დიდი უპირატესობა ის არის, რომ შესაძლებელია მრავალსაფეხურიანი დეტალების მოხარატების დროს გამოყენებულ იქნას დიდი მიწოდება.

ჩარხს ფართოდ გამოიყენებენ ლითონდამამუშავებელ მრეწველობაში. (საკდესი).

საბინაო მშენებლობა კიროვის მაგისტრალზე

პეტროზავოდსკი. (საკდესი). სადგურ მედვეჟია გორაში მშენებლებმა საექსპლოატაციოდ გადასცეს სამი ქვის სახლი. წლის დასაწყისიდან მედვეჟია გორას რკინიგზელებმა მიიღეს თხუთმეტი ახალი საცხოვრებელი შენობა.

დიდი საბინაო მშენებლობა მიმდინარეობს პეტროზავოდსკის რკინიგზის კვანძზე. აქ მრავალსართულიან კეთილმოწყობილ შენობაში ახალი ბინები მიიღო დაახლოებით ორასმა ახალგაზრდა მუშამ. შენდება ბევრი ინდივიდუალური სახლი, რომლებსაც შეეავათიან პირობებში მიჰყიდიან მეორთქმავლეებს.

კიროვის მაგისტრალის რკინიგზელები წელს მიიღებენ დაახლოებით თხუთმეტ ათას კვადრატულ მეტრ ახალ საცხოვრებელ ფართობს.

ამუშავდა ქვა-ღორღის დიდი ქარხანა

ქიგულიოვსკი (კუიბიშევის ოლქი), 13 აპრილი. (საკდესი). საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალ წარმატებას მიაღწია ქიგულიოვსკის კარიერ-სამშენებლო რაიონის კოლექტივმა. გამოცდის შემდეგ საექსპლოატაციოდ გადაცემულია ქვა-ღორღის დიდი ქარხანა, რომელიც წელიწადში უშვებს 800 ათასამდე კუბურ მეტრ ქვასა და ღორღს. საწარმოში დადგმულია უახლესი მოწყობილობა. ქარხანა მთლიანად ავტომატიზებულია.

უახლოეს ღღეებში ქვა-ღორღის ქარხანა სრული სიმძლავრით ამუშავდება.

სოფლის მთელი ძალები დავრაზმოთ საგაზაფხულო თესვის მოკლე ვადებში და მაღალხარისხოვნად ჩაბარებისათვის

კასპელებმა უნდა გააძლიერონ მინდვრის სამუშაოთა ტემპი

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს თესვის ვადების შემცირებას, აგროწესების მტკიცედ დაცვას. ამას კარგად ითვალისწინებენ კასპის რაიონის მოწინავე კოლმეურნეობები. რაიონმა უკვე დაამთავრა საგაზაფხულო თავთავიანი მარცვლეული კულტურებისა და შაქრის ჭარხლის თესვა. მტს-ების მოწინავე სატრაქტორო ბრიგადირთა და კოლმეურნეობების ბრიგადირთა ურთიერთდახმარების შედეგად მნიშვნელოვნად ამაღლდა შრომის ნაყოფიერება. თეძამის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც დ. კვესიაშვილი ხელმძღვანელობს, ენერგიულად შრომობს ხვნა-თესვის დავალებათა შესრულებისათვის. ტრაქტორისტი ნ. დარბრაშვილი წარმატებით ასრულებს სატრაქტორო სამუშაოთა სადღეღამისო ნორმებს.

მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა შესრულებაში წინ არის სოფელ ქვემო ჭალის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ა. მაჭარაშვილი). კოლმეურნეობაში სწორად არის მოწყობილი შრომა. საკოლმეურნეო ბრიგადების განმტკიცებას აქ დიდ ყურადღებას აქცევენ, ამასთან მტკიცედ იცავენ აგროტექნიკის მოთხოვნებს. მაგალითად, 50 ჰექტარი შაქრის ჭარხლის თესვა ვადაზე შვიდი დღით ადრე დაამთავრეს. კარგად უვლიან საშემოდგომო ხორბლის ნათესებს. ჯეჯილი დროულად გამოკვებეს მინერალური სასუქებით. პირველმა ბრიგადამ, რომელსაც მ. გორჯოლაძე ხელმძღვანელობს, მოკლე დროში დათესა შაქრის ჭარხალი და უგრეხელი. სწრაფად და მაღალხარისხოვნად თესავენ აგრეთვე სიმინდს.

მოწინავე კოლმეურნეები უნარიანად იყენებენ საბჭოთა აგრონომიული მეცნიერების უახლეს მიღწევებს. მაგალითად, დოესის კოლმეურნეობა სიმინდს თესავს კვადრატულ-ბუდობრივი წესით. სიმინდის სათესი მანქანა შეუფერხებლივ მუშაობს.

უკანასკნელად რაიონში მინდვრის სამუშაოთა ტემპი გაძლიერდა, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ შეესაბამება იმ მძლავრ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, რომელიც აქვთ მტს-ებს. ზოგან არადამაკმაყოფილებლად იყენებენ კოლმეურნეობათა შრომითს რესურსებსაც. სოფელ ოკამის კოლმეურნეობაში ყველაფერი არ კეთდება შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის, შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. ამის გამო კოლმეურნეობის საწარმოო მაჩვენებლები არადამაკმაყოფილებელია. სიმინდის თესვის ტემპი დაბალია, კარტოფილის თესლი დროულად არ მოიმარაგეს და თესვის საუკეთესო ვადებს ხელიდან უშვებენ. სათანადო ყურადღებას არ აქცევენ საშემოდგომო ჯეჯილის მოვლას, რითაც საფრთხეში აყენებენ წელს მოსავლიანობის გადიდების საქმეს.

უფრო ცუდი მდგომარეობაა სოფელ ახალქალაქის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობაში. თავთავიანი კულტურების და შაქრის ჭარხლის თესვის გეგმა დაგვიანებით შეასრულეს, ხოლო სიმინდის თესვას არ შესდგომიან. საკმაო რაოდენობით არა აქვთ საგაზაფხულო ყველა კულტურის თესლი. კოლმეურნეობაში დაბალია შრომის დისციპლინა. სოციალისტური შეჯიბრება ფორმალურ ხასიათს ატარებს. არ ხდება მოწინავეთა გამოცდილების განზოგადება. მოისუსტებს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია სათავეში ვერ ჩაუდგა კოლმეურნეთა მასების შემოქმედებითს ინიციატივას საგაზაფხულო თესვის ორგანიზებულად ჩატარებისათვის.

ცალკეული კოლმეურნეობების, მემინდვრეობის ბრიგადების, კოლმეურნეთა და მექანიზატორთა ძალები სრულად არ არის გამოყენებული მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის, მაღალი მოსავლის მოსაყვანად მტს-ებისა და კოლმეურნეობების შინაგანი რეზერვების მაქსიმალურად გამოყენებისათვის. ამის გამო საერთოდ რაიონში საგაზაფხულო სამუშაოთა ტემპი დაბალია. 10 აპრილისათვის საგაზაფხულო ხვნის გეგმა შესრულებული იყო 45,9 პროცენტით, ხოლო საგაზაფხულო კულტურების თესვისა — 37,6 პროცენტით.

კასპის რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა უნდა დარაზმონ კოლმეურნეები, მექანიზატორები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, ხვნა-თესვაში ჩამორჩენის სწრაფად გამოსწორებისა და მიმდინარე წლის თესვის სახელმწიფო გეგმის აუცილებლად შესრულებისათვის.

შ. ჩუბინიძე,
„კომუნისტის“ კორ.

არ დავუშვათ ჩამორჩენა

სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებში 10 აპრილისათვის საგაზაფხულოდ მოხნული იყო 2.020 ჰექტარი, გეგმა კი 2.954 ჰექტარს ითვალისწინებს. კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს მზესუმზირას და კარტოფილის თესვის დავალება. კარგად უვლიან შემოდგომის ნათესებს. 34,996 ჰექტარზე მთლიანად დაამთავრეს ჯეჯილის გამოკვება მინერალური სასუქებით. ახლა სწრაფად თესავენ სიმინდს. სამ სამუშაო დღეში უკვე დათესეს 500 ჰექტარი. კოლმეურნეები და მექანიზატორები იბრძვიან იმისათვის, რომ სიმინდის თესვა მთლიანად დაამთავრონ ვადამდე — 25 აპრილისათვის, ჯეჯილების მარგვლა კი — 28 აპრილისათვის და ამით ახალი საწარმოო წარმატებებით შეხვდნენ პირველ მაისს.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა სოფელ ბოდბის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა, რომელმაც კარტოფილის, ბოსტნეულისა და მზესუმზირას თესვა ვადაზე ადრე დაამთავრა. უკანასკნელ ხუთდღიურში გაძლიერდა სიმინდის თესვა და შემოდგომის ნათესების გამოკვება. შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს საუკეთესოდ ასრულებს ბრიგადა, რომელსაც გ. ყურაშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ დაამთავრა საგაზაფხულო კულტურების თესვა, გულმოდგინედ უვლის შემოდგომის ნათესებს. შ. ხარაშვილის მემინდვრეობის ბრიგადა იბრძვის იმისათვის, რომ 350 ჰექტარი სიმინდის თესვა დაამთავროს ვადაზე ათი დღით ადრე.

ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ სოფელ ვაქირის კოლმეურნეობაში. გამგეობის უდარდელობის შედეგად ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების თესვა ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს. ასეთი მდგომარეობა სხვა კოლმეურნეობებშიც არის. საჭიროა მოკლე დროში აღმოიფხვრას ნაკლი, საგაზაფხულო თესვაში არ უნდა იყოს არც ერთი ჩამორჩენილი კოლმეურნეობა.

(„კომუნისტის“ კორ.).

მარცვლეული კულტურების ჯიშთა გამოცდის (მარჯვნივ) და აგრონომი ტ. ზახაროვა ამოწმებენ აღმოცენების უნარიანობაზე სიმინდის ჯიშიან თესლს.

საგარეჯოს პუნქტის გამგე ამხ. ვ. ნიკოლაიშვილი ფოტო ვ. ჩერკასოვისა.

ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავლის მისაღებად

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებული საკოლმეურნეო სოფლის მეშრომელეთა მეჯვრისხეველთა ინიციატივა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებული საკოლმეურნეო სოფლის მეშრომელები თავდადებით შრომობენ იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყანაში შექმნან პროდუქტების უფრო მეტი სიუხვე.

ამ დარგში დიდი მოვალეობა აკისრიათ სასოფლო საბჭოებს, როგორც ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს.

— „სასოფლო საბჭო, — გვასწავლის ამხანაგი ლ. პ. ბერია, — სოფლის პატრონია; მას აქვს დაკისრებული პასუხისმგებლობა კოლმეურნეობათა მდგომარეობისათვის. იქ, სადაც კარგი სასოფლო საბჭოა, სადაც სასოფლო საბჭოს კარგი თავმჯდომარეა, კოლმეურნეობებიც ძლიერნი არიან“.

ჩვენს რესპუბლიკაში ბევრია ისეთი სასოფლო საბჭო, რომელიც მოწოდების სიმაღლეზე დგას, იჩენს ინიციატივას მუშაობაში.

ამის მკაფიო მაგალითს იძლევა გორის რაიონის მეჯვრისხევის სასოფლო საბჭო. იგი მოწინავეა რაიონში.

ამ დღეებში სასოფლო საბჭოს მორიგმა სესიამ განიხილა ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გადიდებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის საკითხი. სასოფლო საბჭომ შეჯიბრებაში გამოიწვია რაიონის ყველა სასოფლო საბჭო და იკისრა კონკრეტული ვალდებულებანი.

მეჯვრისხეველთა გადაწყვეტილებაში ნათქვამია:

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ სოფლის მეურნეობაში მთავარ ამოცანად დასახა ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავლის მოყვანა და მშრომელთა მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა. ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის კეთდება. ეს კარგად აქვთ შეგნებული ჩვენი სასოფლო საბჭოს დეპუტატებს, აქტივს. ჩვენ ვიცით, რომ სასოფლო საბჭოს დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება სოფლის წინაშე დასახული ამოცანების განხორციელებაში. სასოფლო საბჭოს აღმასკომმა დეპუტატებისა და აქტივის დახმარებით გარკვეულ წარმატებებს მიაღწია მოსავლიანობის გადიდებაში, სახელმწიფოს წინაშე ყველა ვალდებულების შესრულებაში.

მაგრამ მიღწევებით დაკმაყოფილება არ შეიძლება. დღეგანდლიზე უკეთესად ხვალ უნდა ვიმუშაოთ. ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი მოსავლიანობის გადიდების, მეცხოველეობის შემდგომი განვითარების, მისი პროდუქტიულობის ამაღლების, სოფლის კეთილმოწყობისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმეში, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში“.

სესია იწონებს წინადადებას, — ნათქვამია შემდეგ გადაწყვეტილებაში, — სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ და დარწმუნებულია, რომ ამ თაოსნობას სათანადოდ გამოეხმაურებიან რაიონის ხელმძღვანელი ორგანოები და სასოფლო საბჭოები.

მეჯვრისხეველებმა უკვე გააჩაღეს მუშაობა, რათა წარმატებით შეასრულონ მათ მიერ ნაკისრი შემდეგი ვალდებულებანი:

გააძლიერონ ხელმძღვანელობა და დახმარება კოლმეურნეობისადმი. კიდევ უფრო განამტკიცონ კოლმეურნეობაში შრომის დისციპლინა, ყველა შრომისუნარიანი კოლმეურნე ჩააბან საკოლმეურნეო შრომაში, ქალთა შრომის უკეთ გამოყენებისა მიზნით გახსნან 2 საბავშვო ბაგა, სანიმუშოდ მოაწყონ კოლმეურნეთა მიერ გამომუშავებული შრომადღეების აღრიცხვა, სასტიკი ბრძოლა გააჩაღონ საკოლმეურნეო ქონების გამნიაგებელთა წინააღმდეგ, განუხრელად დაიცვან სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდება.

უზრუნველყონ 1.063 ჰექტარ ხორბლის ნათესში ნორმით გათვალისწინებული სასუქების შეტანა, დამატებით გამოკვება, მთელი ფართობის დაზიზგაგება, ფართოდ გამოიყენონ წუნწუხით რწყვა, ყველა სამუშაო შეასრულონ აგროწესებით გათვალისწინებულ ვადებში მაღალი ხარისხით. 250 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 20 ცენტნერი ხორბალი, ხოლო დანარჩენ ფართობზე საშუალოდ მიიღონ 17 ცენტნერი. ამ გაზაფხულზე დათესონ 400 ჰექტარი სიმინდი, გათოხნონ სამჯერ, აგროღონისძიებათა განხორციელებით მიაღწიონ 150 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 30 ცენტნერის, დანარჩენ ფართობზე კი საშუალოდ 22 ცენტნერი სიმინდის მოყვანას.

მეჯვრისხეველებმა დროულად და მაღალი ხარისხით დაამთავრეს შაქრის ჭარხლის თესვა და უკვე შეიტანეს გაზაფხულზე გათვალისწინებული ორგანული და მინერალური სასუქები. შაქრის ჭარხლის ფართობებში წელს რწყვას მოაწყობენ გაკონვით, თვითეულ ჰექტარზე შეინარჩუნებენ სულ ცოტა 110.000 ძირ ჭარხალს, 20 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღებენ 700 ცენტნერ შაქრის ჭარხალს, დანარჩენი ფართობის თვითეულ ჰექტარზე კი — 500 ცენტნერს. მაღლწევენ მეხილეობის, მევენახეობის, მეაბრეშუმეობის შემდგომ აღმავლობას.

მეჯვრისხეველების მიერ ნაკისრ ვალდებულებებში აგრეთვე ნათქვამია, რომ მკვეთრად გაადიდებენ ზოსტნეული კულტურების მოსავლიანობას, მიაღწევენ საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომ განვითარებას, პროდუქტიულობის ამაღლებას.

სასოფლო საბჭოს ვალდებულებით გათვალისწინებულია მიიღონ ზომები სოფლის კეთილმოწყობისათვის, გაკეთონ კარგი სასოფლო გზები, მოაწყონ გამწვანება, გაძლიერონ ხელმძღვანელობა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისადმი, წელს აიგონ ერთი კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა და მოაწყონ დეპუტატის სამუშაო ოთახი, კლუბისა და ბიბლიოთეკისათვის შეიძინონ 3.700 მანეთის სასოფლო-სამეურნეო, პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურა, სანიმუშოდ მოაწყონ სოფლის კულტურის სახლი, აბანო. ყოველშრიგ შეუწყონ ხელი სკოლების სანიმუშოდ მომზადებას ახალი სასწავლო წლისათვის. სკოლების რემონტი დაამთავრონ 1 აგვისტოსათვის, ხოლო 5 აგვისტოსათვის სკოლები უზრუნველყონ საჭირო შეშით.

განსაკუთრებული გულისყურით მოეკიდონ მშრომელთა სიგნალებსა და საჩივრებს, იბრძოლონ მოსახლეობის მატერიალურ-კულტურული ცხოვრების განუხრელი აღმავლობისათვის, სოფლის ელექტროფიკაციისა და რადიოფიკაციის შემდგომი განვითარებისათვის. სასოფლო საბჭოს სესიისა და აღმასკომის გადაწყვეტილებათა შესრულებაში აქტიურად ჩაბან დეპუტატები, მუდმივი კომისიები, განუხრელად შეასრულონ ამომრჩეველთა განაწესი. პერიოდულად მოაწყონ დეპუტატთა შეხვედრა ამომრჩეველთან.

მეჯვრისხეველებმა ბევრი სხვა კონკრეტული ვალდებულება იკისრეს.

მეჯვრისხეველთა ამ ინიციატივას აქტიურად უნდა გამოეხმაურონ ჩვენი რესპუბლიკის სხვა რაიონების სასოფლო საბჭოებიც.

ნ. ჯანჯღავა.

ავამაღლოთ მჭს-ების როლი მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში

ლენინ — სტალინის პარტიის XIX ყრილობამ დირექტივებში მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ დასახა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის შემდგომი გაძლიერების ამოცანა. მტს-ების სატრაქტორო პარკის სიმძლავრე ხუთწლედის დამლევისათვის გადიდდება დაახლოებით 50 პროცენტით. კოლმეურნეობებში დამთავრდება მინდვრის ძირითადი სამუშაოების მექანიზაცია. ფართოდ ჩაღდება შრომატევადი პროცესების მექანიზაცია მეცხოველეობაში და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებში. ამ ამოცანის გადაჭრაში წამყვანი როლი ეკუთვნით მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს.

გასულ წელს საქართველოს მტს-ებმა სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა მიწის სამუშაოების ჩათვლით თუმცა საერთოდ 104 პროცენტით შეასრულეს, მაგრამ განაღდებული არ იყო ცალკეულ ძირითად სახეთა სატრაქტორო სამუშაოები, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ მოსავლიანობის გადიდებისათვის.

მტს-ებში ბევრია ისეთი ტრაქტორისტები და კომბაინერები, რომლებიც კარგად დაეუფლნენ რთული ტექნიკის მართვას და მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ტრაქტორების და სხვა მანქანების მაღალნაყოფიერად გამოყენების საქმეში. მაგალითად, ლაგოდეხის მტს-ის ტრაქტორისტმა გ. ბიკაშვილმა ტრაქტორ „უნივერსალით“ 389 ჰექტარი გამოიმუშავა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 210 ჰექტარისა და დაზოგა 416 კილოგრამი საწვავი. წითელწყაროს მტს-ის სატრაქტორო ბრიგადამ (ბრიგადირი შ. მოსაშვილი) შარშან 6.500 ჰექტარის ნაცვლად გამოიმუშავა 7.800 ჰექტარი და დაზოგა 2.500 კილოგრამი საწვავი. ლაგოდეხის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადამ (ბრიგადირი ა. ბატიაშვილი) 2.385 ჰექტარი გამოიმუშავა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.100 ჰექტარისა და დაზოგა 1.421 კილოგრამი საწვავი. ასეთი მაგალითი ბევრია. მოწინავე მექანიზატორთა გამოცდილების ფართოდ გავრცელება სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, მტს-ების მუშაკთა გადაუდებელი საქმეა.

გასულ წელს კარგად იმუშავეს წითელწყაროს, მარტყოფის, ულიანოვკის, ახალქალაქის მტს-ებმა, რომლებმაც წლიური დავალებანი გადაჭარბებით შეასრულეს თითქმის ყველა სახის მიხედვით.

მოწინავეთა ეს გამოცდილება უნდა გამოვიყენოთ ტრაქტორების გამომუშავების გადიდებისათვის. 1952 წელს 15-ძალიანი ტრაქტორის წლიური საშუალო დატვირთვა რესპუბლიკაში შეადგენდა 344 ჰექტარს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 327 ჰექტარისა. თბილისის ოლქის მტს-ებში ტრაქტორის საშუალო დატვირთვა შეადგენდა 365 ჰექტარს, ნაცვლად 332 ჰექტარისა, ხოლო ქუთაისის ოლქის მტს-ებში 302 ჰექტარს ნაცვლად 290 ჰექტარისა. მიუხედავად ამისა, მთელ რიგ მტს-ებში ძალიან დაბალია ტრაქტორების წლიური გამომუშავება. მაგალითად, გასულ წელს გორის მტს-ში 15-ძალიანი ტრაქტორის საშუალო დატვირთვა შეადგენდა 242 ჰექტარს, ბოლნისის მტს-ში — 225, ადიგენის მტს-ში — 191, ენისლის მტს-ში — 284, ყვარლის მტს-ში — 342. ეს იმ დროს, როცა თითქმის იმავე პირობებში მომუშავე, მაგალითად, ლაგოდეხის მტს-ში დატვირთვა შეადგენდა 504 ჰექტარს, აფენის მტს-ში — 523 ჰექტარს და თელავის მტს-ში 400 ჰექტარს. წნორის მტს-ში საშუალო წლიური დატვირთვა იყო 269 ჰექტარი, მის მეზობელ ტიბაანის მტს-ში 413 ჰექტარი და ალაზნის მტს-ში 426 ჰექტარი. ცუდი მაჩვენებლები აქვთ კაჭრეთის და ბადიაურის მტს-ებს. კაჭრეთის რაიონში მანქანებს სრული ნაყოფიერებით ვერ იყენებენ, თუმცა კაჭრეთისა და ბადიაურის მტს-ების ხელმძღვანელი მუშაკები დამატებით მოითხოვენ ახალ-ახალ მანქანებს.

მტს-ების მუშაობაში სერიოზული ნაკლია ტრაქტორების მოცდენა. ეს მანქანების ტექნიკური გაუმართაობისა და შრომის ცუდი ორგანიზაციის შედეგია.

სატრაქტორო პარკის გამოყენების ცუდი მაჩვენებლები იმით აიხსნება, რომ მთელი რიგი მტს-ების დირექტორები, მთავარი ინჟინრები, სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოების და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მტს-ების სამმართველოს მუშაკები სატრაქტორო პარკის რემონტის, გამოყენების და მისი ტექნიკური მომსახურების მნიშვნელოვან საკითხებს ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ.

მოწინავე მტს-ების გამოცდილება მოწმობს, რომ ტრაქტორების დიდი წარმადობა ბევრად არის დამოკიდებული სატრაქტორო ბრიგადების სწორად დაკომპლექტებაზე. სამწუხაროდ, ზოგან ამ საქმის შეუფასებლობას იჩენენ.

სატრაქტორო-პარკის დაბალი მწარმოებლობა იმითაც აიხსნება, რომ ბევრ სატრაქტორო ბრიგადაში შემოღებული არ არის ორცვლიანი მუშაობა. ჩვენი რესპუბლიკის სატრაქტორო პარკის თითქმის 60 პროცენტს დიზელძრავებიანი მძლავრი მუხლუხა ტრაქტორები შეადგენენ. საჭიროა გვახსოვდეს, რომ მტს-ების პარკის მუშაობის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია თვითეული ტრაქტორისტის ცვლისა და სადღეღამისო ნორმების აუცილებლივ შესრულება. ეს მაჩვენებლებიც უნდა მივიღოთ საფუძვლად ამა თუ იმ მტს-ის მუშაობის განსაზღვრისას. აქედან გამომდინარეობს ამოცანა ყველა მტს-ში მოვაწყოთ ორცვლიანი მუშაობა, რომ თვითეული ტრაქტორისტი ასრულებდეს გამომუშავების ცვლისა და სადღეღამისო ნორმებს მინდვრის სამუშაოების ხარისხის მტკიცედ დაცვით, ეწეოდეს საწვავის ეკონომიას და ამცირებდეს სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულებას.

მთელი პასუხისმგებლობით დგას მანქანების გამოყენების ტექნიკური კულტურის ამაღლების საკითხი. სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მისი სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ბევრ მითითებას იძლევიან ტექნიკური მოვლის სწორი ორგანიზაციის შესახებ. მაგრამ ტექნიკური მოვლა სატრაქტორო ბრიგადებში ჯერ კიდევ არა დგას სათანადო დონეზე. შეეხვდებით ისეთ ტრაქტორებს, რომლებიც მთელი თვის განმავლობაში ტექნიკურად მოუვლელია. ამ მიზეზით გამოწვეული გაცდენები დიდია, რაც იწვევს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დაგვიანებით ჩატარებას და, მაშასადამე, მოსავლიანობის შემცირებას. ამოცანა ის არის, რომ მივაღწიოთ ტრაქტორების და მისაბმელი მანქანების ტექნიკურ მოვლაში ყოფნის დროის შემცირებას და კვალში მათი მუშაობის დროის გადიდებას.

ბევრგან ცუდად არის მოწყობილი ტრაქტორების საველე რემონტის საქმე. უნდა დგებოდეს მინდვრად ტექნიკური გეგმა — გრაფიკი. ამ საქმეში სატრაქტორო ბრიგადებს სერიოზული დახმარება უნდა გაუწიონ მოძრავმა ავტოსარემონტო სახელოსნოებმა. მაგრამ სახელოსნოს მანქანები უფრო ხშირად გამოყენებულია როგორც სატრანსპორტო საშუალება. ამ საქმეში უნდა ავამაღლოთ აგრეთვე მტს-ების დამვლელი მექანიკოსების როლი. ისინი მოწოდებული არიან ყოველდღიურ დახმარებას უწევდნენ სატრაქტორო ბრიგადებს ტექნიკური მოვლის საქმეში.

მინდვრად მუშაობის პერიოდში ტრაქტორების მოცდენის შემცირებისა და საველე რემონტის ხარისხის გაუმჯობესებისათვის მტს-ებში უნდა შექმნილიყო აგრეგატების და კვანძების ფონდი. მითითება ამ ფონდების შექმნის შესახებ მეტ წილ მტს-ებს არ შეუსრულებიათ. ცალკე კვანძებისა და აგრეგატების დაზიანების შემთხვევაში მინდვრად ტრაქტორები რამდენიმე დღის განმავლობაში ცდებიან. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აგრეგატებისა და კვანძების ფონდის შექმნას.

სოციალისტურმა შეჯიბრებამ წარმოშვა მანქანების ნაყოფიერების გადიდების მრავალი ახალი წესი. ამათ რიცხვს ეკუთვნის საათობრივი გრაფიკი, სტახანოვური მარშრუტი, მტს-ის სატრაქტორო ბრიგადისა და კოლმეურნეობის მემინდვრეობის ბრიგადის ურთიერთსაწარმოო დახმარება.

მოწინავეთა მუშაობის გამოცდილებით დამტკიცებულია, რომ საათობრივი გრაფიკით მუშაობის მეთოდი ამაღლებს შრომის ნაყოფიერებას, აიდიდებს ტრაქტორისტებისა და ბრიგადირების ინიციატივას, გამომუშავების ნორმების შესრულებას და ამცირებს მანქანების მოცდენას. უნდა ვაღიაროთ, რომ საათობრივი გრაფიკი ძალიან სუსტად ინერგება მტს-ებში. გადაჭრით უნდა აღმოვფხვრათ საათობრივი გრაფიკით მუშაობის დანერგვის საქმისადმი მტს-ების ხელმძღვანელების და სპეციალისტების მიერ ფორმალურ-ბიუროკრატიული დამოკიდებულება.

სატრაქტორო ბრიგადების მუშაობის ორგანიზაციის ერთ-ერთ პროგრესულ მეთოდს წარმოადგენს ბრიგადებში სამეურნეო ანგარიშის დანერგვა. სამეურნეო ანგარიში ხელს უწყობს სატრაქტორო პარკის გამოყენების გაუმჯობესებას, ზრდის სატრაქტორო ბრიგადების პასუხისმგებლობას საწარმოო დავალებათა შესრულებისა და მოსავლიანობის ზრდის საქმეში, იძლევა საწვავ-საცხები მასალების, სათადარიგო ნაწილების და სარემონტო მასალების ეკონომიას.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ტრაქტორისტთა და სხვა მექანიზატორთა კადრების მომზადებას, მათ მიერ რამდენიმე პროფესიის დაუფლებას. ამ მხრივ საინტერესოა სტავროპოლის მხარის ნადეჟდინის მტს-ის ინიციატივა მექანიზატორთა მიერ რამდენიმე პროფესიის დაუფლების დარგში. საჭიროა ამ შესანიშნავ თაოსნობას მხარი დაუჭიროს ჩვენმა ახალგაზრდობამ. მექანიზატორთა ტექნიკური სწავლება, რამდენიმე პროფესიის დაუფლება მტს-ების მუშაობის გაუმჯობესების ახალი დამატებითი რეზერვია.

მტს-ების წინაშე დიდი ამოცანაა დასახული. მათი მუშაობა გადაჭრით უნდა გავაუმჯობესოთ, მივაღწიოთ თვითეული მანქანის სრული ნაყოფიერებით დატვირთვას. „საჭიროა გავაძლიეროთ, — აღნიშნა ამხანაგმა გ. მ. მალენკოვმა საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XIX ყრილობაზე, — მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მაორგანიზებელი როლი კოლმეურნეობებში, გავადიდოთ მტს-ების პასუხისმგებლობა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და საერთო მოსავლის გეგმების შესრულებისათვის და მეცხოველეობის განვითარებისათვის“.

მტს-ი წამყვანი ძალაა საგაზაფხულო თესვაში. ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ფართოდ არის გაჩაღებული საგაზაფხულო თესვა. თესვის გეგმის დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულება მტს-ების მუშაკთა საბრძოლო ამოცანაა. მაგრამ ჯერ კიდევ მთელ რიგ მტს-ებში სატრაქტორო პარკი სრული დატვირთვით არ არის გამოყენებული, ვხვდებით ტრაქტორების მოცდენას ორგანიზაციული და ტექნიკური მიზეზებით. მტს-ების მუშაკები მოვალენი არიან გადაჭრით გააძლიერონ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა ტემპი, მტკიცედ დაიცვან აგროტექნიკის მოთხოვნები. აუცილებელია ბოლო მოეუღოთ მძლავრი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისადმი უყაირათო მოპყრობის ფაქტებს, ყოველი ღონისძიებით გავაუმჯობესოთ ტრაქტორების გამოყენება, კიდევ უფრო ავამაღლოთ მტს-ების როლი მაღალი მოსავლისათვის ბრძოლაში. საჭიროა ფართოდ გავაჩაღოთ მექანიზატორთა შორის სოციალისტური შეჯიბრება ტრაქტორების სრული დატვირთვით გამოყენებისათვის.

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით ასრულებენ მოწინავე მექანიზატორები. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ შეჯიბრებაში ჩაებას ყველა ტრაქტორისტი, ყველა მექანიზატორი.

პარტიის XIX ყრილობის ისტორიული დადგენილებანი ითვალისწინებენ სოციალისტური სოფლის მეურნეობის ახალ მძლავრ აღმავლობას. ასრულებენ რა ყრილობის გადაწყვეტილებებს, სოფლის მეურნეობის მექანიზატორები მოწოდებული არიან უზრუნველყონ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის გაუმჯობესება.

ჩვენი მტს-ების მუშაკები ერთსულოვნად იბრძოლებენ სოფლის მეურნეობაში მთავარი ამოცანის — ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გადიდების და საზოგადოებრივი მეცხოველეობის სულადობის ზრდისა და პროდუქტიულობის ამაღლების ამოცანის შესრულებისათვის.

მ. გიორგაძე.

მშრომელთა შენიშვნები სისუფთავის დაცვის საკითხებზე

(რედაქციაში შემოსული წერილების მიმოხილვა)

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი თბილისი დღითიდღე უფრო ლამაზდება და კეთილმოწყობილი ხდება. მის მშენებლობას წარმოადგენენ პროსპექტები, ქუჩები, მოედნები, დაწესებულებათა მრავალსართულიანი შენობები, საცხოვრებელი სახლები და მრავალი სხვა ლირსშესანიშნავი ნაგებობა, რომლებიც აშენებულია და შენდება ტექნიკის უახლესი მიღწევების მიხედვით.

ყველაფერი ეს იმის პირობებს ქმნის, რომ დედაქალაქში დამყარდეს სანიმუშო სანიტარული კულტურა, სისუფთავე და საზოგადოებრივი წესრიგი. ამ მხრივ სერიოზული ღონისძიებანი განხორციელდა და კვლავაც ხორციელდება. ჩვენი გაზეთის მკითხველები გვწერენ როგორც დადებით მუშაობაზე, ისე იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც ამ მხრივ ჯერ კიდევ არის.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ზოგადი ჰიგიენის კათედრის ასისტენტი კ. დემეტრაშვილი გვატყობინებს: სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებთა და სტუდენტთა კოლექტივი ენერგიულ მუშაობას ეწევა ქალაქ თბილისში და საქართველოს რაიონებში სანიმუშო სანიტარული კულტურის დასანერგავად. ამ საკითხზე ლექციებს კითხულობენ პროფესორები — გ. ნათაძე, ა. ზურაბაშვილი, პ. ბუაჩიძე, მ. საკაკაშვილი, ი. მენთეშაშვილი, ვ. კაკიტაძე, ი. რცხილაძე, დოცენტები — შ. კინწურაშვილი, ა. ყანჩელი, ვ. ჯიქია და სხვები. ლექციები მოეწყო ბოლნისისა და დმანისის რაიონებში.

რაიონულ ცენტრებში, სოფლებსა და სკოლებში წაკითხულ იქნა 35 ლექცია. ინსტიტუტიდან რაიონებში წარგზავნილი ბრიგადის წევრები საუბრებს მართავდნენ, მოსახლეობას სამედიცინო დახმარებას და საექიმო კონსულტაციებს უწევდნენ. აგრეთვე მოეწყო რაიონული თათბირები, შემუშავებულ იქნა პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს სანიტარული კულტურის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველი ქ. გვარამაძე გვწერს, სტალინის რაიონული საბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოს სახლმმართველი ლ. გაჩეჩილაძე კარგად მუშაობს. წლების განმავლობაში ყურადღება არ ექცეოდა ფიროსმანის ქუჩაზე № 30 სახლის რემონტს. იგი ავარიულ მდგომარეობაში იყო. ლ. გაჩეჩილაძემ ენერგიული ზომები მიიღო და ეს სახლი შეაკეთებინა. მის მომსახურებაში შემავალ სახლებში კარგად არის დაცული სისუფთავე.

ქალაქის პირველი პოლიკლინიკის მთავარი ექიმი შ. კახიძე თავის წერილში ყურადღებას ამახვილებს მოსახლეობაში სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობის საკითხზე. ეზოებსა და ეუჩებში სანიტარული წესრიგის დამყარებაზე. პოლიკლინიკის მომსახურების ზონაში ქუჩები კეთილმოწყობილია, არ არის კანალიზაციის ქსელი, ინდივიდუალურ სახლთმფლობელთა უმრავლესობას სანაგვე ყუთები არა აქვს. მსროლელთა ხეებში ხშირად ყრიან ნაგავს. ანტისანიტარულ მდგომარეობაშია კოლექტივიზაციის ქუჩაზე ჩამავალი ხეიც. საბჭოს ქუჩის ნაწილი ზვიმის დროს გაუვალი ხდება. სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის, კიროვის სახელობის ქარხნის საერთო საცხოვრებლების ტერიტორიაზე სისუფთავეს არ იცავენ. მსგავსი მდგომარეობაა საბჭოს ქ. № 214-216 სახლების დერეფნებში. ძლიერ დანაგვიანებულია ტურბინის ქუჩის № 15 სახლის ეზო, ყვინისა და წიწამურის ქუჩები გაბინძურებულია ნაგვით. ნარეცხი წყალით და სხვ. პირველი პოლიკლინიკის სამედიცინო პერსონალმა მოსახლეობის დახმარებით უნდა შეძლოს აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორება.

— ზოგჯერ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები, — გვწერს ჩვენი გაზეთის მკითხველი ზ. ბედენაშვილი, — სათანადო ყურადღებას არ აქცევენ „წვრილმანებს". მაგალითად, რუსთაველის და პლეხანოვის პროსპექტების სახლების კედლებზე ხშირად ნახავთ გამოკრულ განცხადებებს, ცნობებს, დადგენილებებს, რომელთაგან ზოგი ნახევრადჩამოხეულია. საპირაო ისინი გამოკრულ იქნას ამისათვის განკუთვნილ სპეციალურ ადგილებზე და არა უსისტემოდ, ყველგან. საჭირო რაოდენობით უნდა დამზადდეს სპეციალური, ლამაზად გაფორმებული ჩარჩოები და დაიდგას თვალსაჩინო ადგილზე.

მკითხველი ვ. შუბლიშვილი იტყობინება სანიტარული კულტურის წესების უხეშად დარღვევის შემთხვევებს. მაგალითად, სტალინის რაიონში ერთ-ერთ ხეზე, რომელსაც „დიდუბის ხეები" ეწოდება, ორი წლის წინათ დაიწყეს ღვარსაშვების გაყვანა, მაგრამ დაუსრულებელი მიატოვეს. მოსახლეობა ამ ხეზე ყრის ნაგავს, ასხამს წყალს, რაც აბინძურებს იქაურობას. ბრძოლის ქ. № 53 სახლის ეზო ანტისანიტარიის ბუდეა. ამ სახლს, სადაც 300 მბინადრეა, არა აქვს კანალიზაცია, ეზო მოუკირწყლავია, ეზოში ზამთარ-ზაფხულ გაუვალი ტალახია. ეს მდგომარეობა იცის სტალინის რაიონსაბჭოს აღმასკომმა, მაგრამ მის გამოსასწორებლად ზომებს არ იღებს.

უყურადღებოდ არის მიტოვებული თბილისის სადგურთან ახალი გადასასვლელი ხიდი. მისი საფეხურები სადგურის მხრიდან დანაგვიანებულია, დაფარულია მზესუმზირას ჩენჩოთი, ხიდის ქვემოთ ბლომად არის ძველი მასალების ნარჩენები, გაწმენდაზე კი არავინ ფიქრობს. ანტისანიტარული მდგომარეობაა თბილისის სატვირთო სადგურის ტერიტორიაზეც ფიროსმანის ქ. № 3-დან დაწყებული რკინიგზის სადგურამდის ქუჩის ორივე მხარეზე მდებარე შენობების კედლები, კარები, ფანჯრები გატალახიანებულია ავტომანქანების უწესრიგო მოძრაობის გამო. ამის შესახებ გვწერს გაზეთის მკითხველი ი. ნუცუბიძე.

— მე სავსებით შეგნებული მაქვს ჩემი მოქალაქეობრივი მოვალეობა და ენერგიულად ვიბრძვი სანიტარული კულტურის დაცვისათვის ბრძოლაში. თვითეული თბილისელი მოვალეა ჩაებას ამ საქმეში, — გვწერს პ. მამალაძე.

მშრომელთა პრაქტიკულ შენიშვნებს ყორადღება უნდა მიაქციონ სათანადო ორგანოებმა.

ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ საკუროორტო სეზონს

გასულ წელს აჭარის კურორტებზე 29 ათასამდე მშრომელმა დაისვენა და იმკურნალა, გარდა ამისა, ათასობით კაცმა იმკურნალა ამბულატორიული წესით.

წელს აჭარის საკურორტო დაწესებულებებმა სეზონისათვის მზადება უფრო ადრე და ორგანიზებულად დაიწყეს, ვიდრე შარშან.

სერიოზული მუშაობაა გაწეული, რომ აჭარის საკურორტო სამმართველოს სისტემაში შემავალი სანატორიუმები კარგად მოემზადონ სეზონისათვის. ქობულეთის კლინიკურ სანატორიუმში დროზე და მაღალხარისხოვნად შესრულდა კაპიტალური რემონტი, რაზეც 169 ათასი მანეთი დაიხარჯა. აქ კლინიკურ ლაბორატორიასთან ერთად წელს პირველად იმუშავებენ ბიოქიმიური და ფუნქციონალური დიაგნოსტიკის ლაბორატორიები. სანატორიუმში მუშაობს აფთიაქი, რენტგენის, ფიზიოთერაპევტიული და სამკურნალო ფიზკულტურის კაბინეტები, მოწყობილია ჰიდრო-სამკურნალო განყოფილება ნახაპებითა და აბაზანებით, შეძენილია კულტინვენტარი, ბიბლიოთეკა შევსებულია ახალი ლიტერატურით. სანატორიუმში დაკომპლექტებულია კულტმუშაკებისა და სამკურნალო ფიზკულტურის კვალიფიციური კადრებით. სანატორიუმმა პირველ აპრილს მიიღო დამსვენებელთა პირველი ნაკადი.

გასულ წელს აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს ციხისძირის დასასვენებელი სახლი დედათა და ბავშვთა მახინჯაურის სანატორიუმს გადაეცა. სანატორიუმში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს შენობების კაპიტალური რემონტი და ეზოს კეთილმოწყობა, შეძენილია პორტატიული რენტგენის აპარატი, წარმოებს წყალსაღენის რეკონსტრუქცია. აშენდება სატრანსფორმატორო კიოსკი, რის შემდეგაც კურორტი „საქენერგოს" ქსელში ჩაირთვება და ამით დამთავრდება კურორტთა ამ ჯგუფის ელექტროფიკაცია. სანატორიუმისათვის შეძენილია მაგარი და რბილი ინვენტარი, მოწყობილია დამბარე მეურნეობა, რომელიც ავადმყოფს მოამარაგებს მწვანილით და სხვა ბოსტნეულით. აქ სეზონი პირველ მაისს გაიხსნება. სანატორიუმში წელს 400-ზე მეტი დედა და ბავშვი იმკურნალებს.

ბევრი რამ გაკეთდა მახინჯაურისა და მწვანე კონცხის ჯგუფის საკურორტო დაწესებულებათა სეზონისათვის მზადების საქმეში. მახინჯაურის № 1 სანატორიუმში წელს ნაყოფიერი მუშაობა გასწია საქართველოს კურორტოლოგიის ინსტიტუტის ჰიდროგეოლოგთა ჯგუფმა. წელს 4-ჯერ და უფრო მეტად გადიდდა სამკურნალო გოგირდოვანი წყალის დებიტი და მოეწყო ოთხი ახალი სულფიდო-როდონული აბაზანა. წელს აქ გაიხსნება კლინიკური ლაბორატორია.

სეზონს მომზადებულად შეხვდა საკავშირო პროფსაბჭოს სანატორიუმი. წელს აქ განხორციელდა კაპიტალური რემონტი და რეკონსტრუქცია, რის შედეგადაც იგი ერთნახევარჯერ გაფართოვდა. სანატორიუმში სეზონი პირველ იანვარს დაიწყო. დღემდე აქ 300 ავადმყოფმა იმკურნალა.

სეზონისათვის მზადებაში აჭარის საკურორტო დაწესებულებებს სერიოზული ნაკლოვანებებიც აქვთ.

საკურორტო სამმართველოს ზოგიერთ სანატორიუმში ნელი ტემპით მიმდინარეობს სარეზონტო სამუშაოები. ამ ღონისძიებებისათვის გათვალისწინებული 800 ათასი მანეთიდან დღემდე თითქმის ნახევარი აუთვისებელია. სარემონტო სამუშაოები 25 მარტისათვის სრულიად არ ჰქონდა დაწყებული საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ქობულეთის სკოლა-სანატორიუმს. მისი შენობის სახურავი სრულიად უვარგისია, ოთახებში წყალი ჩამოდის, შესაკეთებელია მთავარი კორპუსი, შესაძენია და შესაკეთებელია მაგარი ინვენტარი.

კიევ უფრო ცუდი მდგომარეობაა კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ციხისძირის დასასვენებელ სახლში. აქ ხარჯთაღრიცხვის დაგვიანებით შედგენის გამო უკანასკნელ დღეებამდე მიცემული არ იყო სარემონტო თანხები.

სეზონისათვის მზადების საქმეში ჩამორჩებიან უმაღლესი სკოლებისა და მეცნიერ მუშაკთა პროფესიული კავშირის ციხისძირისა და მტსების მუშაკთა პროფკავშირის მწვანე კონცხის დასასვენებელი სახლები, რკინიგზის ბავშვთა ქობულეთის სანატორიუმი და სხვ.

კურორტების მზადებას სეზონისათვის ერთგვარად ისიც აფერხებს, რომ აჭარის კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სახარჯთაღრიცხვო-საპროექტო ბიურო ზოგჯერ აგვიანებს ხარჯთაღრიცხვების შედგენას.

ყველაფერი რიგზე არ არის დამსვენებელთა კულტურული მომსახურების დარგში.

შარშან აჭარის კურორტებს „კურორტვაჭრობის" ბათუმისა და ქობულეთის განყოფილებები ცუდად ამარაგებდნენ ბოსტნეულით, ხილით, კვერცხით და სხვა პროდუქტებით. მარტო მწვანე კონცხისა და მახინჯაურის საკურორტო ზონის სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებს „კურორტვაჭრობის" ბათუმის განყოფილებამ ათეულ ტონობით ბოსტნეული, კარტოფილი, რძე და სხვა პროდუქტები დააკლო.

ანალოგიური მდგომარეობა იყო ქობულეთის საკურორტო ზონაშიც. სავაჭრო ორგანიზაციები და პირველ რიგში „კურორტვაჭრობის" განყოფილებები ნაკლებად ზრუნავენ საკურორტო ადგილებში სავაჭრო ქსელის გაფართოებისათვის. ქობულეთის საკურორტო ზონაში დღემდე საკმო რაოდენობით არ არის სასურსათო და სამრეწველო საქონლის, პურისა და ხილის სავაჭრო წერტილები, საგაზეთო კიოსკები, საპარიკმახეროები. მოუგვარებელია ქობულეთის ყინულით მომარაგების საქმეც. გასულ წელს დამსვენებლები უზრუნველყოფილი არ იყვნენ ავტოტრანსპორტით. ეს მდგომარეობა წელსაც უცვლელია.

ყველგან არ არის მოწყობილი ფიზკულტურული მოედნები, დღემდე არ არის დამთავრებული კურორტების ტელეფონიზაცია, რკინიგზის ციხისძირის ბაქნის ტერიტორიაზე წლების განმავლობაში ვერ მოგვარდა საფოსტო საგენტოს მოწყობა. არსებითი ნაკლოვანებებია კურორტებზე პარკებისა და საკურორტო დაწესებულებათა ეზოების კეთილმოწყობისა და გამწვანების საქმეში.

ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ საკურორტო სეზონს, გადაჭრით გააუმჯობესონ ავადმყოფთა და დამსვენებელთა საყოფაცხოვრებო, სამედიცინო და კულტურული მომსახურება. შექმნან ყველა პირობა მათი სანიმუშოდ დასვენებისა და მკურნალობისათვის, — ასეთია საკურორტო დაწესებულებათა მუშაკებისა და კურორტო ზონის ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების საპატიო ამოცანა.

დ. კაიჭაძე,

„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

სახალხო დემოკრატიულ ქვეყნებში

საპირველმაისო შეჯიბრება ჩინეთში

პეკინი, 11 აპრილი. (საკდესი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სულ უფრო ფართოდ ჩაღდება საპირველმაისო შრომითი შეჯიბრება გაზეთი „გუნქენქიბაო" იუწყება, რომ ჩუნცინის საწარმოთა მუშა-მოსამსახურეებმა, აქტიურად გააჩაღეს რა საპირველმაისო შეჯიბრება, მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს. მაგალითად, № 201 სახელმწიფო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა ვადამდე შეასრულა I კვარტალის საწარმოო დავალება და ახალ საწარმოო წარმატებებს აღწევს II კვარტალში. ქარხნის მოწინავე ბრიგადამ, რომელსაც იან ჟუნ-სიუანი მეთაურობს, შეჯიბრების დროს მარტში 79,2 პროცენტით გაადიდა შრომის ნაყოფიერება თუბერვალთან შედარებით.

შანხაის მანქანათმშენებელი ქარხნის „ციუ-ძიანის" მუშა-მოსამსახურეებმა განიხილეს და მიიღეს აპრილის გადიდებული საწარმოო გეგმა, გადაწყვიტეს რა თავდაპირველად დასახულ დავალებასთან შედარებით 25 პროცენტით მეტი ჩარხი გამოუშვან.

საპირველმაისო შეჯიბრება მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში

ულან-ბატორი. (საკდესი). მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საწარმოებში სულ უფრო ფართოდ ჩაღდება საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება. მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები ისწრაფვიან ღირსეულად შეასრულონ თავიანთი საპირველმაისო ვალდებულებანი. ვადაზე ოთხი დღით ადრე შეასრულეს კვარტალის გეგმა ნალაიხას ქვანახშირის მაღაროების მუშახეებმა. რკინიგზელებმა ტვირთბიდვის მარტის დავალება 107,7 პროცენტით შეასრულეს.

უკანასკნელ დროს ყველაზე მაღალი მაჩვენებლები მოიპოვეს სუხე-ბატორის ალმაკის სამადნოს მუშებმა. ისინი დაეუფლნენ საბჭოთა სტახანოველების მეთოდებს და მარტის გეგმა 110 პროცენტით შეასრულეს.

საბჭოთა სტახანოველების შრომის მეთოდების გამოყენება ალბანეთში

ტირანა. (საკდესი). ამ უკანასკნელი თვეების მანძილზე ალბანეთის სამთო მრეწველობაში შეიქმნა მრავალი კომპლექსური ბრიგადა, რომლებიც თავიანთ მუშაობაში იყენებენ საბჭოთა სტახანოველებისა და წარმოების ნოვატორების შრომის მოწინავე მეთოდებს. კომპლექსურ ბრიგადებში მუშაობამ საშუალება მისცა მაღაროელებს, მუშახეებსა და მენავთობეებს 20-25 პროცენტით გაედიდებინათ შრომის ნაყოფიერება.

ალბანეთის ნავთსარეწებში ფართოდ გავრცელდა საბჭოთა მენავთობე კაფაროვის შრომის მოწინავე მეთოდი. ალბანეთის ყველა ქვანახშირის შახტში მუშაობა წარმოებს ციკლური გრაფიკით, რამაც მუშახტებს საშუალება მისცა ერთისამად გაედიდებინათ შრომის ნაყოფიერება.

ყველა წარმოებაში მუშაობის საბჭოთა მეთოდების გამოყენების მეოხებით, 1952 წელს ალბანეთის სამთო მრეწველობამ სახელმწიფოს მისცა 15 მილიონი ლეკი ეკონომია.

დაიწყო საგაზაფხულო სამუშაოები მდინარე ხუაიხეზე

შანხაი, 13 აპრილი. (საკდესი). გაზეთი „სინ-ვენჭიბაო" იუწყება, რომ ანხუეის პროვინციაში დაიწყო საგაზაფხულო ჰიდროტექნიკური სამუშაოები მდინარე ხუაიხეზე.

გეგმით ამ გაზაფხულზე აქ აშენდება არხები, წყალსაცავები, რაბები და სხვა ჰიდრონაგებობანი. ამ სამუშაოებში მონაწილეობას მიიღებს 820 ათასი მშენებელი. 300 ათასზე მეტი კაცი უკვე ჩავიდა მშენებლობის ადგილზე და შეუდგა მუშაობას.

ტრანსპორტის განვითარება რუმინეთში

ბუქარესტი, 12 აპრილი. (საკდესი). რუმინეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, რუმინეთში წლის განმავლობაში რკინიგზით გადაზიდული ტვირთის მოცულობა 1952 წლის დამლევისათვის, 1948 წელთან შედარებით, ერთიორად გადიდდა. მოძრავი შემადგენლობა შევსებულია ახალი ორთქლმავლებით, მათ შორის საკუთარი წარმოების ახალი ტიპის ორთქლმავლებით საბჭოთა რკინიგზელების შრომის მოწინავე მეთოდების გამოყენებამ ხელი შეუწყო იმას, რომ რკინიგზის ტრანსპორტზე 1949 წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გადიდდა 74 პროცენტით.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა წყალის ტრანსპორტი. საზღვაო და სამდინარო გემებმა 1952 წელს გადაზიდეს ორნახევარჯერ მეტი ტვირთი, ვიდრე 1948 წელს. ყოველწლიურ ექსპლოატაციაში მყოფი სამდინარო გემების სიმძლავრე. ცხენის ძალაზე გადაყვანით, ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში 60 პროცენტით გაიზარდა.

1952 წელს ავტომობილებით გადაზიდული ტვირთის მოცულობა, 1948 წელთან შედარებით, 12-ჯერ გადიდდა.

რუმინელი მშრომელები სწავლობენ რუსულ ენას

ბუქარესტი, 12 აპრილი. (საკდესი). რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელები დიდი ინტერესით სწავლობენ რუსულ ენას. ამჟამად რუმინეთში მოქმედებს 10 ათასზე მეტი რუსული ენის კურსები, რომლებზეც სწავლობს 170 ათასზე მეტი კაცი. დედაქალაქის ქარხანა-ფაბრიკებსა და დაწესებულებებში, ბუქარესტის მიდამოების დაბებსა და სოფლებში, კოლექტიურ და სახელმწიფო სოფლის მეურნეობებში 1.500 წრეში რუსულ ენას სწავლობს 25 ათასზე მეტი მშრომელი.

საბინაო მშენებლობა ბულგარეთში

სოფია, 10 აპრილი. (საკდესი). სახალხო ხელისუფლების წლების მანძილზე ბულგარეთში დიდი საბინაო მშენებლობა გაჩაღდა. 1944 წლის 9 სექტემბრის შემდეგ მარტო მცირე მრეწველობის საწარმოთა მუშებმა მიიღეს 200 ათასზე მეტი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. სულ უფრო მეტი შენდება კეთილმოწყობილი, კარგად გამართული სახლები. წელს მშრომელთა ათასობით ოჯახი შესახლდება ახალ ბინებში.

პასუხი შეკითხვაზე

თანამედროვეობის დიდი მოძრაობა

ჰიტლერული გერმანიისა და მილიტარისტული იაპონიის წინააღმდეგ დიდ განმათავისუფლებელ ომში. საბჭოთა კავშირის ისტორიული გამარჯვების შედეგად მთელ მსოფლიოში დიდი მნიშვნელობის პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის ძვრები მოხდა. „ფაშიზმისა და მსოფლიო აგრესიის ძირითადი კერების განადგურებამ და ლიკვიდაციამ, — ამბობდა დიდი სტალინი 1946 წელს, გამოიწვია ღრმა ცვლილებები მსოფლიოს ხალხთა პოლიტიკურ ცხოვრებაში, უზრუნველყო ხალხთა შორის დემოკრატიული მოძრაობის ფართო ზრდა, ომის გამოცდილებით ხალხის მასებმა შეიგნეს, რომ სახელმწიფოთა ბედი არ შეიძლება მიენდოს რეაქციულ მმართველებს, რომლებიც ვიწრო-კასტურ და ანგარებით აღსავსე, ხალხის საწინააღმდეგო მიზნებს ისახავენ. სწორედ ამიტომ ხალხები, რომლებსაც აღარ სურთ ძველებურად იცხოვრონ, საკუთარ ხელში იღებენ თავიანთ სახელმწიფოთა ბედს, ანყარებენ დემოკრატიულ წესებს და აქტიურ ბრძოლას ეწევიან რეაქციის ძალების წინააღმდეგ, ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ".

მეორე მსოფლიო ომის შედეგად მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისი შემდგომ გაღრმავდა. კაპიტალისტურ სისტემას მოსწყდნენ მთელი რიგი ქვეყნები. სახალხო-დემოკრატიული წყობილება დამკვიდრდა პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, უნგრეთში, რუმინეთსა და ალბანეთში. შეიქმნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში შეიქმნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა.

ომიდან საბჭოთა სახელმწიფო კიდევ უფრო მტკიცე და ძლიერი გამოვიდა. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მმართველი წრეების საქმიანობა, მიმართული იქეთკენ, რომ ყველაფერი გაეკეთებინათ, რათა საბჭოთა კავშირი ომში დასუსტებულიყო და მათ გზა გახსნოდათ მსოფლიო ბატონობის თავიანთი ბოდვითი გეგმების განსახორციელებლად, სამარცხვინოდ ჩაფუშა. საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო ავტორიტეტი უმაღლესოდ გაიზარდა. მის ირგვლივ დაირაზმნენ მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალები. შეიქმნა სოციალიზმის, დემოკრატიისა და მშვიდობის უძლეველი ბანაკი, რომელიც მტკიცედ იბრძვის ომის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, საერთაშორისო თანამშრომლობისათვის. სოციალიზმის, დემოკრატიისა და მშვიდობის უძლეველ ბანაკს სათავეში უდგას საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც თავისი არსებობის პირველი დღიდანვე განუხრელად და თანმიმდევრულად ახორციელებს მშვიდობის პოლიტიკას, ხალხთა შორის თანასწორუფლებიანობის პოლიტიკას. საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის სამშვიდობო ხასიათი ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ბუნებით არის განსაზღვრული. საბჭოთა კავშირის სამშვიდობო საგარეო პოლიტიკა გამოხატავს საბჭოთა ხალხისა და მთელი მსოფლიოს ხალხების სასიცოცხლო ინტერესებს, იგი ეყრდნობა კომუნისტური და კაპიტალისტური ქვეყნების ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის შესაძლებლობას, რაც ლოგიკურად გამომდინარეობს ერთ ქვეყანაში კომუნიზმის აშენების შესაძლებლობის თეორიიდან, რომელიც გენიალურად შეიმუშავა დიდმა სტალინმა.

მეორე მსოფლიო ომისშემდგომ პერიოდში შეიქმნა თანამედროვეობის დიდი მოძრაობა, მსოფლიოს ხალხთა მოძრაობა მშვიდობისათვის. იგი წარმოადგენს ახალ, მძლავრ ძალას საერთაშორისო ვითარებაში. მისი შექმნა მშვიდოდ არის დაკავშირებული ანტიჰიტლერულ ომში განმათავისუფლებელი ძალების გამარჯვებასთან. მშვიდობისათვის ასეთი მძლავრი მოძრაობის გაჩაღება მოწმობს იმ მნიშვნელოვან ძვრებს, რომლებიც ხალხთა მასების შეგნებაში მოხდა. ეს ძვრები დაკავშირებულია უკანასკნელი ოცდათექვსმეტი წლის მანძილზე მომხდარ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ფაქტებთან.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიულმა გამარჯვებამ, საბჭოთა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ ფაშისტური გერმანიისა და მილიტარისტული იაპონიის დამარცხებამ მეორე მსოფლიო ომში, სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების აღმოცენებამ და ამ ქვეყნების წარმატებებმა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში, დიდი ჩინელი ხალხის გამარჯვებამ — ყოველივე ამან დაანახვა ხალხებს, თუ რა უდიდეს ძალას წარმოადგენენ ისინი, ჩაუნერგა მათ რწმენა თავიანთი ძალებისა და ბედნიერი მომავლისადმი.

ომის ამერიკელ-ინგლისელი გამჩაღებლები, ხედავენ რა, რომ მშვიდობისათვის გაჩაღებული თანამედროვე მოძრაობა ღღითიდღე ძლიერდება, მტკიცდება, ფართოვდება და სერიოზულ დაბრკოლებებს უქმნის მათ თავიანთი აგრესიული მიზნების განხორციელების საქმეში, ყოველგვარ ხრიკებსა და სიყალბეს მიმართავენ, რათა განხეთქილება შეიტანონ ხალხთა ამ დიდ მოძრაობაში, ძირი გამოუთხარონ მის ერთიანობას, დაქსაქსონ მშვიდობისათვის მებრძოლთა რიგები. ომის ამერიკელ-ინგლისელ გამჩაღებელთა დაქირავებული პროპაგანდისტები მათთვის ჩვეული უტიფრობით ბაჯაჯიან, რომ მშვიდობისათვის გაჩაღებული თანამედროვე მოძრაობა თითქოს „კომუნისტების კამპანიაა", თითქოს მასში „მხოლოდ კომუნისტები მონაწილეობენ". მთელ რიგ იმპერიალისტურ ქვეყნებში (ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია) აპატიმრებენ მშვიდობისათვის მებრძოლებს, რომელნიც „სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულების ორგანიზატორებს".

ამხანაგმა სტალინმა თავის კლასიკურ ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში" მოგვცა მშვიდობისათვის ხალხთა ამ დიდი მოძრაობის გენიალური დახასიათება. ამხანაგი სტალინი წერს: „მშვიდობისათვის გაჩაღებულ თანამედროვე მოძრაობას მიზნად აქვს აამოძრაოს ხალხის მასები მშვიდობის შენარჩუნებისათვის, ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილებისათვის საბრძოლველად. მაშასადამე, იგი არ ისახავს კაპიტალიზმის დამხობისა და სოციალიზმის დამყარების მიზნებს, — იგი იფარგლება მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის დემოკრატიული მიზნებით...

ყველაზე უფრო მოსალოდნელია, რომ თანამედროვე მოძრაობა მშვიდობისათვის, როგორც მოძრაობა მშვიდობის შენარჩუნებისათვის, წარმატების შემთხვევაში გამოიწვევს გარკვეული ომის თავიდან აცილებას, მის დროებით გადადებას, გარკვეული მშვიდობის დროებით შენარჩუნებას, ომის მოწადინე მთავრობის გადადგომას და მის შეცვლას სხვა მთავრობით, რომელიც მზად იქნება დროებით შეინარჩუნოს მშვიდობა. ეს, რა თქმა უნდა, კარგია. ძალიანაც კარგია."

ის გარემოება, რომ მშვიდობისათვის გაჩაღებული თანამედროვე მოძრაობა იფარგლება მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის დემოკრატიული მიზნებით და იგი არ ისახავს კაპიტალიზმის დამხობისა და სოციალიზმის დამყარების მიზნებს, იქიდანაც ჩანს, რომ მშვიდობისათვის მებრძოლები თავიანთ საქმიანობაში გამოდიან იქიდან, რომ სოციალისტურ და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის შესაძლებელია თანამშრომლობა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ამიტომ მათი ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ბრძოლა საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებისა და განვითარებისათვის. მშვიდობისათვის მებრძოლები მიზნად ისახავენ სხვადასხვა ქვეყნებს შორის ეკონომიკური, კულტურული თანამშრომლობის განვითარების გზით მიაღწიონ საერთაშორისო ვითარების დაძაბულობის შენელებას, მშვიდობის შენარჩუნებას.

სხვადასხვა ქვეყნის მშვიდობის დაცვის ორგანიზაციების კონგრესებსა და კონფერენციებზე მიღებულ რეზოლუციებში, მშვიდობისათვის გაჩოჩენილ მებრძოლთა გამოსვლებში, როგორც წესი, ხაზგასმით არის აღნიშნული ის გარემოება, რომ მშვიდობისათვის გაჩაღებული თანამედროვე მოძრაობა თავის საქმიანობას საფუძვლად უდებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სხვადასხვა სოციალური და ეკონომიკური სისტემების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის შესაძლებლობის ღრმა რწმენას. „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატმა, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარემ ფრედერიკ ჟოლიო-კიურიმ მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესზე განაცხადა, რომ მშვიდობის მომხრეთა საქმიანობას აზრი არ ექნებოდა, მას საფუძვლად რომ არ ედოს სხვადასხვა ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების თანაარსებობის შესაძლებლობის რწმენა. ამავე კონგრესზე „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატმა პიეტრო ნენიმ აღნიშნა: წარმატებების მოპოვებისათვის აუცილებელია, რომ მშვიდობისათვის მებრძოლებს სწამდეთ სხვადასხვა პოლიტიკური და სოციალური წყობის — საბჭოთა ან სახალხო-დემოკრატიულის და პარლამენტური დემოკრატიის, სოციალიზმისა და კაპიტალიზმის მშვიდობიანი თანაარსებობა და თანამშრომლობა. ამერიკის შეერთებულ შტატებში მშვიდობის დაცვის ერთ-ერთმა ორგანიზაციამ თავის სხდომაზე მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია: კონფერენციის დელეგატები უარყოფენ იმათ ფილოსოფიას, ვინც აცხადებს, რომ ომი გარდუვალია; ისინი ამტკიცებენ, რომ მშვიდობის შენარჩუნება შესაძლებელია; ქვეყნებს შორის არსებული უთანხმოებანი არ შეიძლება იყოს ისე დიდი, რომ მათი თავიდან აცილება შესაძლებელი იყოს მხოლოდ ერთმანეთის განადგურებით.

ამასთან უნდა აღინიშნოს — „შესაძლებელია, რომ, გარემოებათა გარკვეული დამთხვევისას, მშვიდობისათვის ბრძოლა აქა-იქ გადაიზარდოს სოციალისტურ ბრძოლად, მაგრამ ეს უკვე იქნება არა თანამედროვე მოძრაობა მშვიდობისათვის, არამედ მოძრაობა კაპიტალიზმის დასამარბად". (ი. ბ. სტალინი).

მშვიდობისათვის გაჩაღებული თანამედროვე მოძრაობა ხალხთა უპარტიო, ფართო, დემოკრატიული მოძრაობაა. მისი სიდიადე და ძალა ის არის, რომ იგი აერთიანებს სხვადასხვა პროფესიის ასეულ მილიონობით ადამიანს, განურჩევლად ეროვნული და რასობრივი კუთვნილებისა, დამოუკიდებლად რელიგიური რწმენისა და პოლიტიკური შეხედულებებისა. მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესზე

არგენტინის ინტელიგენციის წარმომადგენელთა განცხადება საბჭოთა კავშირის შესახებ

მონტევიდეო, 13 აპრილი. (საკდესი). არგენტინის ინტელიგენციის წარმომადგენლებმა ნორბერტო ფრონტინიმ და ხუან კარლოს კასტანიენმა, რომლებიც რიო-დე-ჟანეიროში ჩამოვიდნენ არგენტინისაკენ მგზავრობისას, გამოთქვეს თავიანთი შთაბეჭდილებანი საბჭოთა კავშირის შესახებ.

როგორც გაზეთი „იმპრენსა პოპულარი“ იუწყება, ფრონტინიმ აღტაცება გამოთქვა საბჭოთა კავშირში წარმოეული ადგილობრივი მშენებლობის მასშტაბებით, მოსკოვის საუცხო მეტროპოლიტენითა და კულტურის სასახლეებით.

საბჭოთა ბავშვები, განაცხადა მან, კარგად არიან ჩაცმული და დიდი ზრუნვით გარემოცულნი. მაღაზიებში იყიდება დიდძალი საქონელი. საბჭოთა მატარებლები საუკეთესო მატარებლებია მსოფლიოში.

საბჭოთა კავშირი, თქვა შემდეგ ფრონტინიმ, შემშრიტად მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოა.

მხატვარმა ხუან კარლოს კასტანიენმა განაცხადა, რომ იგი აღტაცებულია სახვითი ხელოვნების განვითარებით საბჭოთა კავშირში. კასტანიენმა, წერს გაზეთი, აღნიშნა, რომ საბჭოთა ფერწერაში შეიქმნება უაღრესად სხვადასხვა თემა. საბჭოთა მხატვრების სურათებს ხალხი უშუალოდ აკრიტიკებს კულტურის სასახლეებში, გამოფენებზე, ბიბლიოთეკებში და სხვ. კასტანიენმა აღნიშნა, რომ საბჭოთა საწარმოებში მუშაობენ მხატვრული წრეები, რომლებშიც ახალგაზრდა მუშებს შეუძლიათ თავიანთი ნიჭი გამოიჩინონ. ამ წრეებიდან ბევრი მხატვარი გამოვიდა.

დაიხურა იტალიის ქალთა ყრილობა

რომი, 13 აპრილი. (საკდესი). გუშინ რომში მუშაობა დაამთავრა იტალიის ქალთა ყრილობამ. როგორც გაზეთი „უნიტა“ იუწყება, უკანასკნელ სხდომაზე გამოვიდა იტალიის ქალთა კავშირის გენერალური მდივანი როზეტა ლონგო, რომელმაც აღნიშნა, რომ დემოკრატმა ქალებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს თავიანთი უფლებებისათვის ბრძოლაში. მაგრამ, თქვა მან, კონსტიტუციაში ჩაწერილი თანასწორუფლებანობა არ ხორციელდება, ამიტომ საჭიროა ენერგიულად ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ იგი მოვიპოვოთ.

ყრილობამ ერთსულოვნად აირჩია იტალიის ქალთა კავშირის ახალი ეროვნული საბჭო, რომელშიც შედის სხვადასხვა პროფესიის ქალთა 116 წარმომადგენელი. მოწონებულ იქნა „ქალთა ქარტია“, რომელიც შეიცავს ქალების მოთხოვნებს, ადასტურებს მათ მოსწრაფებას იბრძოლონ უკეთესი ცხოვრებისა და მშვიდობიანი მომავლისათვის.

დამსწრეთა ტაშის გრიალში ყრილობაზე გამოაცხადეს საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის, ჟაკ დენ აისა და დოლორეს იბარურის მისასალმებელი დეპეშები.

საბოლოო სიტყვაში იტალიის ქალთა კავშირის თავმჯდომარემ მარიამ მადალენა როსიმ აღნიშნა, რომ ყრილობამ ცხადყო ქალთა სულ უფრო ფართო მასების მოსწრაფება გაერთიანდნენ კონსტიტუციისა და ჭეშიდობის დასაცავად.

ყრილობის დამთავრების შემდეგ გაიმართა საბალო დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო რომში მცხოვრებმა ათასობით ქალმა.

გაიხსნა ევროპის ქვეყნების სავაჭრო ექსპერტთა თათბირი

ბერნი, 13 აპრილი. (საკდესი). დღეს ჟენევაში მუშაობა დაიწყო აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნების სავაჭრო ექსპერტთა თათბირმა, რომელიც მოწვეულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკის საკითხთა კომისიის მე-7 და მე-8 სესიების გადაწყვეტილებებით.

თათბირში მონაწილეობას იღებენ ევროპის 25 ქვეყნისა და ამერიკის შეერთებული შტატების ექსპერტები. მონაწილეობას იღებენ აგრეთვე იმ ქვეყნების ექსპერტები, რომლებიც არ არიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკის საკითხთა კომისიის წევრები. თავიანთი ექსპერტები გამოგზავნეს აგრეთვე გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, დასავლეთმა გერმანიამ და ავსტრიამ.

თათბირი დიდუა „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკის საკითხთა კომისიის აღმასრულებელი მდივნის მიურდალის შესავალი სიტყვით. მან გადაუშალა დამსწრეთ ომისშემდგომ პერიოდში დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპას შორის ვაჭრობის განვითარების ზოგადი სურათი და გააცნო ამ თათბირის მოწვევის საკითხის ისტორია.

თათბირის მონაწილენი განიხილავენ აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის ვაჭრობის მდგომარეობას და მოისმენენ ექსპერტთა განცხადებებს ამ ქვეყნების საგაჭრო მიწოდებისა და მოთხოვნის შესახებ.

თათბირის დღის წესრიგი შეიცავს აგრეთვე ექსპერტთა ორმხრივ და სამმხრივ მოლაპარაკებას ცალკეულ ქვეყნებს შორის ვაჭრობის საკითხებზე.

არჩევნების წინ უნგრეთში

უნგრეთის დამოუკიდებლობის სახალხო ფრონტის ეროვნული საბჭოს მიმართვა

ბუდაპეშტი, 13 აპრილი. (საკდესი). უნგრეთის პრესაში გამოქვეყნებულია უნგრეთის დამოუკიდებლობის სახალხო ფრონტის ეროვნული საბჭოს წინასაარჩევნო მიმართვა ამომრჩევლებისადმი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების მოსავალი 17 მაისის არჩევნებთან დაკავშირებით. მიმართვაში ნათქვამია:

10 წელიც არ გასულა მას შემდეგ, რაც ჩვენი სამშობლო ომმა გაანადგურა, ხოლო ამჟამად ჩვენ ვცხოვრობთ და ვაშენებთ მშვიდობიან პირობებში. 10 წელიც არ გასულა იმ დროიდან, როცა ერთ მუჭა მსხვილ მეკობრეებს ხელში ეჭირათ უნგრეთის მიწის ნახევარი, ამჟამად კი მიწა ეკუთვნის იმას, ვინც მას ამუშავებს, — მშრომელ გლეხობას. ქარხნები, ფაბრიკები, ბანკები, ვაჭრობა კაპიტალისტების ხელში იყო, ამჟამად კი ისინი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს ხელშია. უნგრეთის სახალხო მეურნეობა ექსპლოატატორთა მიზნებს ემსახურებოდა, ამჟამად კი უნგრელ ხალხს ემსახურება.

ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან უნგრეთი გადაიქცა ინდუსტრიულ სახელმწიფოდ, რომელიც სულ უფრო ვითარდება, რომელის კეთილდღეობა და ძალები განუწყვეტლივ იზრდება. სამი მილიონი ღარიბ-ღატაკის ქვეყნიდან, ეკონომიკურად და კულტურულად ჩამორჩენილი ქვეყნიდან უნგრეთი გადაიქცა მოწინავე ქვეყნად, რომლის ბატონ-პატრონია სოციალიზმის მშენებელი მშრომელი ხალხი.

ჩვენს საუცხოო წარმატებებს, ნათქვამია შემდეგ მიმართვაში, ჩვენ უწინარეს ყოვლისა უნდა ვუმადლოდეთ დიდ საბჭოთა კავშირს, რომლის სახელოვანმა არმიამ გაათავისუფლა ჩვენი სამშობლო უცხოეთის უღლისაგან, შესაძლებლობა მისცა უნგრელ ხალხს თვითონ განაგებდეს თავის ბედს. მაოლოდ საბჭოთა კავშირის უანგარო მარდაჭერით, მუდმივი მატერიალური და სულიერი დახმარებით შეძლო ჩვენმა ქვეყანამ გაევლო თავისი აღმავლობის 8 წლის გზა. მხოლოდ საბჭოთა კავშირთან კავშირით შეგძელით დაგვეცვა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა და მშვიდობა იმპერიალისტთა ძირგამომთხრელი მოქმედებისაგან, რომელებიც მხარს უჭერდნენ ჩვენი ხალხის შინაურ მტრებს.

ჩვენს წარმატებებს უნდა ვუმადლოდეთ სახალხო-დემოკრატიული წყობილების არსებობას.

მამართვაში აღნიშნულია, რომ უნგრეთის დამოუკიდებლობის სახალხო ფრონტის გაღდებულებანი, რომლებიც იკისრა მან ამომრჩეველთა წინაშე წარსულ არჩევნებში ოთხი წლის წინათ, შესრულებულ იქნა არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც.

სახალხო მეურნეობაში სამი წლის მანძილზე, ნაცვლად დასახული 5 წლისა, დაბანდებულ იქნა არა 35 მილიარდი ფორინტი, არამედ 40 მილიარდი ფორინტი. ფოლადის წარმოება 1949 წლის 800 ათასი ტონიდან ხუთწლედის უკვე მესამე წელს გაიზარდა მილიონნახევარ ტონამდე. ქვანახშირის ამოღება 1954 წლის დამლევისათვის უნდა გაზრდილიყო 18 მილიონ ტონამდე, მაგრამ უკვე 1952 წლის დამლევისათვის ამოღებულ იქნა გაცილებით უფრო მეტი ქვანახშირი.

უმუშევრობა უნგრეთში წარსულს ჩაბარდა. 1949 წლიდან იმ პირთა რიცხვი, რომელებსაც სოციალური დაზღვევა მოიცავს, 3.800 ათასიდან 5.450 ათასამდე გაიზარდა. ბევრი რამ გაკეთდა დედათა და ბავშვთა დაცვისათვის. ამაღლდა ხელფასის დონე. ამჟამად საშუალო სკოლებში სწავლობს ორნახევარჯერ მეტი, ხოლო უმაღლეს სასწავლებლებში — ოთხჯერ მეტი მოსწავლე, ვიდრე 1938 წელს. ხუთწლედის პირველი სამი წლის მანძილზე შექმნილია 2 ათასზე მეტი სასოფლო და საფაბრიკო-საქარხნო კულტურის სახლი, 1.600 კინოთეატრი, დაახლოებით 3 ათასი სახალხო ბიბლიოთეკა და 4 ათასზე მეტი საფაბრიკო-საქარხნო ბიბლიოთეკა. ვითარდება მეცნიერება, ხელოვნება.

ოთხი წლის მანძილზე მრეწველობის დაახლოებით 100 ათასი მუშა და მშრომელი გლეხი დწინაურდა ხელმძღვანელ სამუშაოებზე. ისინი საუბარში ჩაუდგნენ ქარხნებსა და საწარმოებს, მუშაობენ მთავრობის ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებში, არიან სახალხო არმიის ოფიცრები. უნგრეთში 70 ათასი სტახანოველია; ეს იმას მოწმობს, რომ მუშათა კლასის სულ უფრო მეტი ნაწილი სპეციალური ცოდნით ტექნიკური ინტელიგენციის დონეს უახლოვდება. წარმატებით მუშაობისათვის 32 ათასზე მეტმა კაცმა მიიღო სახელმწიფო ჯილდოები. 565 მეცნიერმა, ხელოვნების მოღვაწემ, ექიმმა, პედაგოგმა, კვალიფიციურმა მუშამ, სოფლის მეურნეობის მუშაკმა და სხვ. მიიღო უმაღლესი ჯილდო — კომუნის სახელობის პრემია.

მამართვაში გამოთქმულია მადლობა უნგრეთის მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობისა და ინტელიგენციისადმი დახმარებისა და ენერგიული შრომისათვის ხუთწლიანი გეგმის განხორციელების საქმეში.

ვინც ხმას აძლევს უნგრეთის დამოუკიდებლობის სახალხო ფრონტს, ხაზგასმით არის აღნიშნული მიმართვაში, ის ხმას აძლევს ძლიერ უნგრეთს, „დარაზმულ ხალხს.

მამართვაში ჩამოთვლილია მსხვილი ნაგებობანი, რომლებიც მწყობრში ჩადგებიან ხუთწლედის დამლევამდე. 1953-1954 წლებში დამთავრდება ახალი სოციალისტური ქალაქის — სტალინვაროშისა და მეშახტეთა ახალი დიდი ქალაქის — კომლოს მშენებლობა, გაიხსნება ბუდაპეშტის სახალხო სტადიონი და სხვ. მამართვაში აგრეთვე აღნიშნულია მიღწევები სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივების შექმნის დარგში.

კვლავაც მთელი ძალღონით, ნათქვამია მიმართვაში, დავუჭერთ მხარს სოციალისტურ სოფლის მეურნეობას და გავუწევთ დახმარებას საწარმოო კოოპერატივებს ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში, შრომითი და სამოქალაქო დისციპლინის განმტკიცებაში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავე მეცნიერული მეთოდების ათვისებაში.

სახელმწიფო კრების ახალი შემადგენლობის ამოცანა იქნება კანონის მიღება 1955-1959 წლების მეორე ხუთწლიანი სახალხო-სამეურნეო გეგმის შესახებ. მეორე ხუთწლედში ჩვენ გვინდა ავაშენოთ ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოება. მეორე ხუთწლედში ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ფოლადის წარმოება გადიდდეს 3,5-4 მილიონ ტონამდე, ქვანახშირის ამოღება — 40-50 მილიონ ტონამდე, ელექტროენერგიის წარმოება — 10-12 მილიარდ კილოვატსაათამდე, პურისა — 30-40 მილიონ ცენტნერამდე. განგრძობილ იქნება ბუდაპეშტის მეტროპოლიტენისა და დიდი დუნაის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა; მიწის სარწყავი ფართობები გადიდდება 650-700 ათას ჰექტარამდე. საჭიროა დაჩქარდეს იმ პროცესების მექანიზაცია, რომლებიც მოითხოვენ მძიმე ფიზიკურ შრომას, უწინარეს ყოვლისა მშენებლობაში, სამთო მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში.

მეორე ხუთწლედში აშენდება 250 ათასი ბინა. დასახულია მშრომელთა რეალური ხელფასის გადიდება 50 პროცენტით. გათვალისწინებულია სასურსათო და სამრეწველო საქონლის ფასების შემცირება მშრომელთა მეიდველობითი უნარის გადიდების მიზნით. ნავარაუდევია კულტურული მშენებლობის დიდი პროგრამა.

მეორე ხუთწლედის განხორციელების მსვლელობაში ჩვენ უკან უნდა მოვიტოვოთ მთელი რიგი განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები არა მარტო განვითარების ტემპით, არამედ ერთ სულ მოსახლეზე მოხმარების მაჩვენებლით. ჩვენ უნდა გადავაქციოთ უნგრეთი შეძლებული ცხოვრების, აყვავებული კულტურის ქვეყნად.

მმართვა მოუწოდებს ყველას, ვინც მხარს უჭერს მეორე ხუთწლიანი გეგმის საუცხოო პერსპექტივებს, ხმა მისცეს უნგრეთის დამოუკიდებლობის სახალხო ფრონტის კანდიდატებს.

უნგრეთის დამოუკიდებლობის სახალხო ფრონტი, ისევე როგორც წინათ, განახორციელებს სამშვიდობო პოლიტიკას, რადგან დიადი შემოქმედებითი შრომის განვრძობისათვის საჭიროა მშვიდობა.

მმართვა მოუწოდებს სიფხიზლისაკენ, მშვიდობის საქმისათვის ბრძოლის გაძლიერებისაკენ.

მშვიდობის დაცვის საქმეში ჩვენ ძალებს ვამოგებთ მშვიდობის იმ ბიანი ბანაკის მტკიცე ერთიანობაში, რომელსაც წინ მიუძღვის საბჭოთა კავშირი, — ნათქვამია მიმართვაში.

საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობა და კავშირი ჩვენი სამშობლოს მშვიდობის უტყუარი საწინდარია.

მშვიდობის დაცვის საქმეში ჩვენ ვეყრდნობით საკუთარ ძალებსაც. ჩვენი ქვეყნის მზარდი ეკონომიკური ძლიერებისა და სამშობლოსადმი ჩვენი ხალხის სიყვარულის მეოხებით ჩვენ უკვე გვყავს ძლიერი სახალხო არმია, რომელიც ფხიზლად იცავს უნგრეთის საზღვრების ხელშეუხებლობას.

ამჟამად უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას არ მოეკოვება არც ერთი გადაუწყვეტელი ან სადავო საკითხი, რომელიც საფუძველი იყოს რომელიმე ქვეყანასთან მტრული დამოკიდებულებისათვის.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას გულწრფელად სურს მონაწილეობა მიიღოს ხალხთა საერთაშორისო თანამშრომლობაში და ამიტომ მტკიცედ მოითხოვს შესრულებულ იქნას საზავო ხელშეკრულებაში შეტანილი მისი კანონიერი მოთხოვნა — გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღება.

უნგრეთის დამოუკიდებლობის სახალხო ფრონტის პროგრამაა მშვიდობა, შრომა, კეთილდღეობა, აღმავლობა.

პოლონეთისა და აღბანეთის კულტურული თანამშრომლობა

ვარშავა, 14 აპრილი. (საკდესი). პოლონეთის პრესის სააგენტოს ცნობით, ამ დღეებში პოლონეთ-ალბანეთის შერეულმა კომისიამ ვარშავაში ხელი მოაწერა 1953 წელს პოლონეთსა და ალბანეთს შორის კულტურული თანამშრომლობის გეგმას.

კომისიის მუშაობა მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობდა.

კორეის ამგები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 13 აპრილი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ განვლილი დღის მანძილზე სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა შეუერთებელ კვლავ გაფფორებულ თავდაცვითს ბრძოლებს ეწეოდნენ პენამდონის რაიონში ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინსნელთა ჯარების წინააღმდეგ. მოწინააღმდეგემ ერთ პოლკამდე ძალებით არაერთხელ მოიტანა იერიში პენამდონის დასავლეთით მდებარე გორაკების მიმართულებით. მოწინააღმდეგემ, რომელსაც სახალხო არმიის ჯარები მძლავრი საარტილერიო ცეცხლითა და კონტრიერიშებით შეხვდნენ, უკან დაიხია და ზარალი ნახა.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მებრძოლებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 3 თვითმფრინავი.

მოლაპარაკება პანმუნჯონში

პეკინი, 13 აპრილი. (საკდესი). როგორც სინხუას საინფორმაციო კორესპონდენტი კესონიდან იუწყება, კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკებაზე კორეა-ჩინეთის დელეგაციამ დღეს გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია:

13 აპრილს ორივე მხარის შტაბის ოფიცრების სხდომაზე კორეა-ჩინეთის მხარემ მეორე მხარეს აცნობა, რომ არაკორეელი ეროვნულის ავადმყოფ და დაჭრილ სამხედრო ტყვეთა შორის, რომლებიც რეპატრიირებულ უნდა იქნან, ამერიკელების, ინგლისელების, თურქების, კანადელების, ბერძნებისა და პანანდიელების გარდა, არიან აგრეთვე ფილიპინელები, სამხრეთაფრიკელები, ავსტრალიელები და კოლუმბიელები.

ზოგიერთი კონკრეტული ადმინისტრაციული დეტალის განხილვის შემდეგ, რომელიც ავადმყოფ და დაჭრილ სამხედრო ტყვეთა გადაყვანასა და მიღებას შეეხება, ორივე მხარემ მაღაწია შეთანხმებას.

სამხრეთ კორეის მოსახლეობის საშინელი მდგომარეობა

ფხენიანი, 13 აპრილი. (საკდესი). გაზეთმა „ნოდონ სინმუნმა“ გამოაქვეყნა ახალი მასალები, რომლებიც მოწმობენ, რომ სამხრეთ კორეაში კვლავ უარესდება სასურსათო მდგომარეობა.

სამხრეთ კორეა, წერს გაზეთი, განიცდის უდიდეს სასურსათო კრიზისს. თვით ლისინმანელი „მაწყათმოქმედებისა და მეტყევეობის მინისტრი“, როგორც სამხრეთ კორეის გაზეთი „ტონგა ილბო“ იუწყებოდა, იძულებული იყო ეღიარებინა, რომ „ჯლეხები, რომლებიც მიწათმოქმედებას ეწევიან სამხრეთ და ჩრდილოეთ ჩოლას პროვინციის მინდვრებში, ყმებად გადაქცნენ და სავალალოდ ცხოვრობენ. მათი ძირითადი საკვებია მეკვრივე წყალი, რომელიც მაოლოდ ოდნავ წაადავს სალაფავს“. უკვე შემოდგომიდან სამხრეთ-კორეელი ჯლეხები განიცდიან სურსათის ნაკლებობას და სამუშაოს და საკვების საძებნელად ტოვებდნენ მშობლიურ სოფლებს.

1953 წლისათვის სამხრეთ კორეას აკლია 7 მილიონი სეკი ბრინჯი (1 სეკი უდრის 143 კილოგრამს). ამასთან დაკავშირებით სამხრეთ კორეის „დემოკრატიული ეროვნული პარტიის“ პროპაგანდის განყოფილების უფროსი ხამ სამ ხუნი იძულებული იყო განეცხადებინა: მთავრობას არ გააჩნია სახსრები ასეთი დიდძალი სურსათის საყიდლად (დაახლოებით 200 მილიონნი დოლარი). დაგუშვათ კიდეც, რომ მთავრობას გააჩნია ასეთი სახსრები, სულ ერთია, შეუძლებელია ამდენი ბრინჯის ყიდვა შორეული აღმოსავლეთის ბაზარზე.

სარგებლობს რა სასურსათო კრიზისით, ლისინმანელთა ხროვა უდიდეს მოგებას იღებს. მთავრობის დადგენილებით სამოქალაქო მოსახლეობისათვის ბრინჯის ფასი 508 პროცენტით გადიდდა ფასების წინანდელ დონესთან შედარებით და ამ მძარცველურ ფასად ყიდულობს მოსახლეობა ლისინ მანის დამჭაშებისაგან ბრინჯს, რომელიც ძალით წაართვეს გლეხებს ჯერ კიდევ 1951 წელს. ამ „ოპერაციით“ ლისინმანელთა ხროვამ მიიღო 130 მილიარდი ვონი სუფთა მოგება.

იმ ბრინჯის ფასი, რომელსაც „მთავრობა“ ულუფის სახით აძლევს ცალკეულ პირებს, უზომოდ დიდია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავისი მცირე ულუფა რომ მიიღოს, მოსამსახურემ საგალდებულო წესით, გარდა ულუფის უშუალო ღირებულებისა, უნდა გადაიხადოს „შესატანი სასოფლო ამბანაგობაში“ 7 ათასი ვონი თითო საწყაო ბრინჯზე (3-დან 7,5 კილოგრამამდე), უნდა იყიდოს ლისინმანელთა სესხების 4 ათასი ვონის ობლიგაციები თითო საწყაო ბრინჯზე, გადაიხადოს „შესატანი სახანძრო რაზმებისათვის“ 3 ათასი ვონი საწყაოზე, „ხარჯები ღამის დაცვაზე“ 3 ათასი ვონი საწყაოზე, „გადასახადი ტალახისაგან ბრინჯის გასაწმენდად“ 2 ათასი ვონის რაოდენობით საწყაოზე და მთელი რიგი სხვა „გადასახადები“ და „შესატანები“.

სურათზე: თბილისის სამხატვრო აკადემიის დიპლომანტი ი. მელაშვილი მუშაობს მხატვრულ ვაზაზე.

ფოტო ს. ბახტაძისა.

ახალგაზრდა მხატვართა სადიპლომო სამუშაოები

ახლოდება გამოცდების საგაზაფხულო სესია. თბილისის სამხატვრო აკადემიის უკანასკნელი კურსის სტუდენტები გაცხოველებით ამზადებენ თავიანთ სადიპლომო სამუშაოებს.

ფერწერის განყოფილებას წელს 9 კაცი ამთავრებს. სტუდენტი კ. მახარაძე მუშაობს ბატალურ სურათზე „სუვოროვი და ბაგრატიონი ალპებში“, გ. კალანდაძე — „მათუმის დემონსტრაცია“, ბ. გუგუშვილი ხატავს პეიზაჟს „კოლმეურნეობის ეზო“, დ. ხახუბაშვილი — ჯგუფურ პორტრეტს „საქართველოს მოწინავე მხატვრები“.

გრაფიკული განყოფილების სტუდენტები ასრულებენ ილუსტრაციების სერიას სხვადასხვა ნაწარმოებებისათვის: ზ. კაპანაძე — ლ. ბ. ბერიას ნაშრომისათვის „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, ბ. ხავთასი — ლ. ქიაჩელის რომანისათვის „გვალი ბიგეა“, ფ. სარალიძე — შჩიპაჩოვის პოემისათვის „პავლიკ მოროზოვი“.

დაზგური ფერწერის განყოფილების სტუდენტი ლეილა ჩოხელი ხატავს სურათს საკოლმეურნეო თემაზე — „ქართული ჩაი“.

საპლაკატო ფერწერის განყოფილებაში სტუდენტებს თ. რატიშვილს, გ. ჩარგეიშვილს, გ. იაშვილს და ვ. ხმალაძეს დავალებული აქვთ ოთხ-ოთხი პლაკატის დახატვა პოლიტიკურ და საწარმოო თემებზე.

ქანდაკების განყოფილება უშვებს ხუთ ახალგაზრდა მოქანდაკეს. მათ უნდა შექმნან თიხისაგან ფიგურების კომპოზიციები. გ. ოჩიაურმა აირჩია ისტორიულ-რევოლუციური თემა — „1905 წელი“, ო. პარკაია ძერწავს კოლმეურნე ქალისა და ნ. თაბუაშვილი — საბჭოთა სპორტსმენის ფიგურას.

კერამიკული განყოფილების დიპლომანტი გ. კობერიძე ამზადებს მატვრულ ჭაღს, რ. მეტრეველი — ყავის სერვიზს.

სამხატვრო აკადემიის არქიტექტურულ ფაკულტეტს ამთავრებს 17 სტუდენტი. სადიპლომო სამუშაოდ მათ უნდა წარმოადგინონ თეატრისა და სანატორიუმის შენობათა პროექტები.

რამდენიმე სწრაფქონით

○ **ქარელის რაიონის დაბა აგარის** მახლობლად საქართველოს გზატკეცილთა სამმართველოს გორის საგზაო-სამშენებლო კანტორა მდინარე სურამულაზე აშენებს რკინაბეტონის ახალ ხიდს.

○ **ხაშურის სტადიონზე** გაიხსნა მიმდინარე წლის სპორტული სეზონი. ამ დღეს ერთმანეთს შეხვდნენ ხაშურის „ლოკომოტივისა“ და რუსთავის „მეტალურგის“ ფეხბურთელები. შეკიბრება დამთავრდა სტუმრების გამარჯვებით ანგარიშით 4 : 1.

○ **ბათუმის რაიონის** საზღვრისპირა სოფელ სარფში საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის აჭარის განყოფილებამ გამართა „ლიტერატურული საღამო. მოხსენება თემაზე „პატრიოტიზმი ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში“ წაიკითხა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელმა მდივანმა ა. თევზაძემ. თავიანთი ნაწარმოებები წაიკითხეს მწერლებმა ნ. მალაზონიამ, ბ. ლორიამ, გ. სალუქვაძემ, მ. ვარშანიძემ, ფ. ხალვაშმა.

სსრკ-ის ... ...

თბილისის სახელმწიფო ცირკში და ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში რამდენიმე დღეა მილიონერობს შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში საბჭოთა კავშირის 1953 წლის პირადგუნდური პირველობისათვის. შეხვედრათა უმრავლესობა ხასიათდება მძაფრი ბრძოლით. სპორტსმენებმა გამოამჟღავნეს საუკეთესო ტექნიკური და ფიზიკური მომზადება.

ახლა, შეჯიბრების გადამწყვეტ ეტაპზე, როდესაც ყოველ ქულას მოჭიდავეთათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ასპარეზობა კიდევ უფრო საინტერესო და მიმზიდველი ხდება. წარმატებით იბრძვიან ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები, რომელთა მნიშვნელოვან ნაწილს ფინალში მონაწილეობის შესაძლებლობა აქვს.

მრატე წონის მოჭიდავეთა შეჯიბრებაში გუშინ დიდ ინტერესს იწვევდა XV ოლიმპიური თამაშების პრიზიორის მამედბეკოვისა (აზერბაიჯანი) და საბჭოთა კავშირის 1952 წლის ჩემპიონის გიგიაძის (საქართველო) შეხვედრა. შეჯიბრება დამთავრდა გიგიაძის სუფთა გამარჯვებით. ამავე დღეს გიგიაძემ მეორე გამარჯვება მოიპოვა ქულებით.

XV ოლიმპიურ თამაშში გამარჯვებულის — მეკოკიშვილისა (მოსკოვი, მძიმე წონა) და ლაფაურის (საქართველო) შეჯიბრება 6 წუთსა და 20 წამში დამთავრდა მეკოკიშვილის მორიგი გამარჯვებით. მას არც ერთი საჯარიმო ქულა არ მიუღია.

წარმატებით იბრძვიან აგრეთვე საქართველოს გუნდის წარმომადგენლები ბალავაძე, ცალელანმანიძე, მუზაშვილი, გაბარაევი, სხირტლაძე და სხვები, რომლებმაც 14 აპრილის დილის შეხვედრებში მორიგი გამარჯვება მოიპოვეს.

კულავემა (რიგსი) ქულებით მოუგო საქართველოს გუნდის წარმომადგენელს თედეევს; გერასიმოვმა სუფთა გამარჯვება მოიპოვა შინჯოკაშვილთან.

მესამე წრის შეხვედრებიდან (ქვესაუფალო წონა) საინტერესო იყო რიბალკოს (უკრაინა) და მაქსიმოვის (ბელორუსია), მოროზოვის (მოსკოვი) და ვოლოსჩუკის (უკრაინა) შეჯიბრება. გაიმარჯვეს რიბალკომ და მოროზოვმა. მსუბუქ წონაში რუნგემ (ესტონეთი) სუფთა გამარჯვება მოიპოვა კარაგეზიანთან (მოსკოვი).

დღეს თბილისის სახელმწიფო ცირკში მოხდება გადამწყვეტი შეხვედრები და გამარჯვებულთა დაჯილდოება.

ტექნიკური კონფერენცია მაღაროში

ჭიათურა. („კომუნისტის“ კორ.). სტალინის სახელობის მაღაროს მუშათა კლუბში გაიმართა ტექნიკური კონფერენცია. მაღაროს მთავარმა მარკშეიდერმა ბ. რუხაძემ გააკეთა მოხსენება თემაზე — „სამარკშეიდერო საქმის მნიშვნელოვანი სამთო წარმოებაში“. ვენტილაციის უფროსმა ინჟინერმა ვ. წერეთელმა თავისი მოხსენება მიუძღვნა საკითხს „მიწისქვეშა გამონამუშევრების ვენტილაცია და მისი გაუმჯობესების ღონისძიებანი“. საინტერესო იყო ტექნიკური უშიშროების ინჟინრის ე. გაფრინდაშვილის მოხსენება — „ტრავმულ შემთხვევათა ანალიზი და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი“. „მარგანეცის მადნის გაუხვების ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესების შესახებ“ მოხსენება წაიკითხა ინჟინერმა ა. გაბეჩავამ.

მოხსენებათა გამო აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღეს ინჟინრებმა ვ. თურქაძემ, ა. ისაკაძემ, თ. არველაძემ, ბ. გოგორიშვილმა, უბნის გამგეებმა ა. კაპანაძემ, ბ. სამხარაძემ, ი. წერეთელმა, სულ 12 კაცმა. სიტყვით გამოვიდა აგრეთვე მაღაროს მთავარი ინჟინერი ლ. ჩხაიძე.

კონფერენცია დაეხმარება ახალგაზრდა მუშებსა და სპეციალისტებს კვალიფიკაციის ამაღლებაში.

გორის თეატრში

მიმდინარე სეზონის მორიგ ახალ დადგმად გორის გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს უჩვენა ი. ჯავახიშვილის და ა. აფშილავას კომედია: „ეგზისუნბილი ძმაკაცები“. დადგმა ეკუთვნის გ. აბრამიშვილს, მხატვრობა — დ. მირიანაშვილს, მუსიკა — ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ფ. მახათელაშვილს.

სპექტაკლში მონაწილეობენ ვ. ცხვარაიშვილი, გ. პატარიძე, ბ. ღონღაძე, ა. შონია, ე. არაქელოვი, ვ. მაზმიშვილი, ნ. ბეროზაშვილი.

რედაქტორი გ. მერკვილაძე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლიტონისა და სამთო საქმის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს:

I. მადნების ქიმიური გამდიდრებისა და მინერალური სასუქების ტექნოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

კონკურსში მონაწილეს უნდა ჰქონდეს ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

II. უმცროსი მეცნიერი თანამშრომლების ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად შემდეგი სპეციალობებით:

1) მადნების ქიმიური გამდიდრება და მინერალური სასუქების ტექნოლოგია — 1, 2) ანალიზური ქიმია — 1, 3) პირომეტალურგია — 1, 4) ლითონთა ცხელი დამუშავება — 1, 5) ლითონმცოდნეობა — 1.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის ქართული ენის ცოდნა სავალდებულოა.

განცხადებისა და სხვა საბუთების წარმოდგენა შეიძლება კონკურსის გამოცხადებიდან 10 დღის განმავლობაში.

ცნობებისათვის უნდა მიმართონ: კამოს ქუჩა № 34/36, ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტი.

ინსტიტუტის დირექცია

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ტუბერკულოზის სამეცნიერო-საკვლევი რესპუბლიკური ინსტიტუტი აცხადებს **კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:** კანის ტუბერკულოზის განყოფ